პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

20 აგვისტო, 1938 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო ფასი 30 კაპ. № 20 (75)

უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

10 აგვისტოს გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის მეორე სესია. კრემლის დიდ სასახლეში კვლავ შეიკრიბნენ საბჭოთა დიადი ხალხის საუკეთესო შვილები და გადასჭრეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხები.

ის პოლიტიკური ერთსულოვნება და ბოლშევიკური პრინციპიალობა, რომელსაც ყოველი დეპუტატი იჩენდა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში, ერთი უბრწყინვალესი დამადასტურებელია იმისა, რომ 170 მილიონი ხალხი და მისი უმაღლესი საბჭო კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წარმოადგენს ერთ მონოლიტურ მთლიანობას.

უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ ერთსულოვნათ დაამტკიცა სსრ კავშირის სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტი 125 მილიარდ 184 მილიონ მანეთის რაოდენობით. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სსრ კავშირის რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 15,5-ჯერ.

საგრძნობლად გაიზარდა მოკავშირე ნაციონალური რესპუბლიკების ბიუჯეტი. გასულ წელთან შედარებით უზბეკისტანის ბიუჯეტი გაიზარდა 15,3 პროცენტით, აზერბაიჯანის 20,2 პროცენტით, ტაჯიკისტანის 22 პროცენტით, კირგიზეთის 30,5 პროცენტით და ა. შ.

საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს 1938 წლის ბიუჯეტიც. გასულ წელს საქართველოს ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 917 მილიონ მანეთით, 1938 წლის ბიუჯეტი სესიის მიერ დამტკიცებულია 1 მილიარდ 65 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს გრანდიოზული თანხა უფრო მეტად შეუწყობს ხელს ქართველი ხალხის ეკონომიურს და კულტურულ აყვავებას.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის ზრდა ერთი უბრწყინვალესი მოწმეა სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებისა, რომელსაც მიაღწია საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით. უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ ერთსულოვნათ დაამტკიცა 27 მილიარდი მანეთი საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის კიდევ უფრო მეტად გაზრდისათვის. 170 მილიონი ხალხი და მთელი მშრომელი კაცობრიობა დიდი სიამაყის და სიხარულის გრძნობით შეხვდა სესიის ამ გადაწყვეტილებას. კაპიტალიზმის ბორკილქვეშ მყოფ მუშათა კლასმა და მთელმა პროგრესიულმა კაცობრიობამ კარგად იცის, რომ ჩვენი დიდი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის განუწყვეტელი ზრდა ერთი უძლიერესი ფაქტორია მშვიდობიანობისა მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის ხალხმა მესამე ხუთწლედის პირველი წლის სესხზე გადაჭარბებული ხელისმოწერით ერთხელ კიდევ უჩვენა იაპონელ სამურაებს, გერმანელ და იტალიელ ფაშისტებს, რომ 170 მილიონი ადამიანი მიუვალ ციხესიმაგრედ არის აღმართული ჩვენი დიდი სამშობლოს სადარაჯოზე. იაპონელმა სამხედრო ყაჩაღებმა სცადეს ჩვენი ქვეყნის წმინდათა წმინდა საზღვრების დარღვევა, მაგრამ სამხედრო ხროვამ ჩვენი სახელოვანი წითელარმიისაგან ჭკუის სასწავლო გაკვეთილი მიიღო; მან ჩვენ ბოსტანში შემოყოფილი ღორული დინგი — გასისხლიანებული წაიღო უკან. ამ ფაქტს ჩვენი ხალხი დიდი პატრიოტული გრძნობით შეხვდა. საბჭოთა ხალხმა, რომელიც აღსავსეა სამშობლოს სიყვარულით ერთსულოვნად განაცხადა, რომ მზად არის ყოველ წუთს გამოვიდეს თავისი დიდი ქვეყნის დასაცავად.

კულტურის საკითხები ყოველთვის იდგა საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების ცენტრში. ყოველ წელს ამ დარგში იხარჯებოდა უზარმაზარი სახსრები. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში კულტურისათვის გაღებული თანხები ყოველწლიურად მაქსიმალური ტემპით კლებულობს, საბჭოთა კავშირში განუწყვეტლივ იზრდება. ამას ბრწყინვალედ ადასტურებს უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებით კულტურის ფრონტისათვის 1938 წელს დამტკიცებულია 31,4 მილიარდი მანეთი. უმაღლეს საბჭოს მეორე სესიის ეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება უდიდესი გარანტიაა საბჭოთა ხალხის შემდგომი კულტურული ზრდისა და ამაღლებისა.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მეორე სესიაზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ განსახილველად შეიტანა პროექტი ახალი დებულებისა სასამართლოს წყობილების შესახებ. „სასამართლო წყობილების დებულების" პროექტს საბჭოთა სასამართლო დიადი სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნილებათა დონემდე აჰყავს, უმაღლეს საბჭოს მეორე სესიამ ბოლშევიკური ერთსულოვნობით მიიღო მთავრობის მიერ განსახილველად შეტანილი პროექტი.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სესიაზე განსახილველად შეტანილ პროექტს „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ" უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სახელმწიფოსათვის. კანონის პროექტი გამოდის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის — განურჩევლად ეროვნებისა, რასისა და სქესისა — ლენინურ - სტალინური პრინციპიდან.

როდესაც გერმანელი ფაშისტები მოქალაქეთა უფლებას საზღვრავენ თავიანთი ველური რასული „თეორიით" და ბინძურად სთელავენ ამ მოქალაქეთა უფლებას, საბჭოთა კავშირში მოქალაქეთა უფლება დამყარებულია ეროვნების, რასისა და სქესის თანასწორუფლებიანობის დაურღვეველ პრინციპზე. მხოლოდ სოციალიზმის უძლეველ ქვეყანაში არის ნამდვილად უზრუნველყოფილი მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, რომელიც ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი დიად სტალინურ კონსტიტუციაში.

ამხანაგი სტალინი მეტალურგთა და მაღაროელთა მიღების დროს ამბობდა: „საბჭოთა პირობებში ხელმძღვანელად ყოფნა იმას ნიშნავს, რომ მაღალი პატივის და ნდობის ღირსი გახდე ხალხის თვალში... ხელმძღვანელები მიდიან და მოდიან, ხალხი კი რჩება. მხოლოდ ხალხია უკვდავი. ყოველივე დანარჩენი წარმავალია. ამიტომ უნდა შეგვეძლოს დავაფასოთ ხალხის ნდობა".

დააფასოს და გაამართლოს ჩვენი ხალხის მაღალი ნდობა — ამაში ხედავს თავის მიზანს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თვითეული დეპუტატი. ამ ნიშნით ტარდება დეპუტატთა მთელი მუშაობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მეორე სესიაზე. ხალხის რჩეულთა საქმიანობა გამსჭვალულია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობაზე სტალინური მზრუნველობის გრძნობით, აღსავსეა სოციალიზმის საქმისათვის დაუღალავი ბრძოლით. „ორი დიდი ძალა, — ხალხი და კომუნიზმი — ერთ მთლიან და განუყრელ ერთეულად შეერთდა ჩვენს ქვეყანაში. ეს დიადი ერთიანობა სოციალისტური სახელმწიფოს მძლავრი, უძლეველი დასაყრდენია, მისი ძლიერების რკინის საძირკველია" („პრავდა").

ორი დიდი ძალის — ხალხისა და კომუნიზმის ერთიანობის სადარაჯოზე დგანან საბჭოთა დიადი ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილნი და წარგზავნილნი, დიდი სტალინის მიერ აღზრდილნი რჩეული ადამიანები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

საკავშირო უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.
საკავშირო უმაღლესი საბჭოს დელეგატები ხმას აძლევენ კანონს
სსრკ 1938 წლის სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტის შესახებ.

საკავშირო უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.
ეროვნებათა საბჭოს 1938 წ. 13 აგვისტოს სხდომა.

საბჭოთა ხალხი და მისი ავიაცია

საბჭოთა ხალხს უყვარს და ამაყობს თავისი სახელოვანი ავიაციით, რადგან მასში ხედავს თავისი მეურნეობისა და კულტურის აღმავლობას, თავისი ადამიანების ზრდას, თავისი ქვეყნისა და თავისი მშვიდობიანი შრომის ფხიზელ გუშაგს. ამიტომ არის, რომ 18 აგვისტო—საბჭოთა ავიაციის დღე—უფართოეს საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გადაიქცა.

შეიძლება არც ერთი დარგი ჩვენი სახალხო მეურნეობისა, არც ერთი სფერო ჩვენი კულტურისა, ისე რელიეფურად არ გამოხატავდეს სოციალიზმის ქვეყნის უდიდეს სამეურნეო და კულტურულ წარმატებებს, არც ერთი დარგი ისე თვალსაჩინოდ არ ააშკარავებდეს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურის წინაშე, როგორც საბჭოთა ავიაცია.

თვე ისე არ გავა, რომ ჩვენმა თვითმფრინავებმა არ დაამყარონ ან შორი, ან ჩქარი, ან მაღლა ფრენის, ან ტვირთზიდვის საერთაშორისო რეკორდი, — რეკორდი, რომელიც ანცვიფრებს მთელს კაცობრიობას. 1934 წლიდან, ჩელუსკინელთა გადასარჩენად მოწყობილი საჰაერო ექსპედიციის ბრწყინვალე რეისების დამთავრებიდან, ვიდრე დღემდე, 1938 წლის აგვისტომდე, მთელი ეს პერიოდი საბჭოთა ავიაციის შეუჩერებელი აღმავლობის, მისი ადამიანების განუწყვეტელი გმირობისა და შეუნელებელი სიმამაცის გასაოცარი პერიოდია.

საერთაშორისო ავიაციის სარეკორდო მიღწევათა ისტორიაში წარუშლელ თარიღებად შევიდნენ საბჭოთა კავშირის გმირების ჩკალოვ-ბაიდუკოვ-ბელიაკოვის პირველი გადაფრენა ამერიკაში, გრომოვ-იუმაშევ-დანილინის მეორე სიშორის სარეკორდო რეისი იმავე მარშრუტით, ვოდოპიანოვის, მოლოკოვის, ალექსეევის, მაზურუკისა და გოლოვინის მიერ პოლუსის პირველი დაპყრობა და ათეულ საბჭოთა ავიანავიგატორების რეგულიარული გადაფრენა ყინულოვან არქტიკაში.

სწორედ ამ თვენახევრის წინათ კოკინაკისა და ბრიანდინსკის გმირულმა გადაფრენამ მოსკოვ-ხაბაროვსკ-ვლადივოსტოკის მარშრუტით, — გადაფრენამ, რომელმაც 24 საათში დაჰფარა 7.600 კილომეტრის ურთულესი და უძნელესი გზა, ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა და მსოფლიო ავიაციის ისტორიაში. იმავე ხანებში ჩვენ მოწმენი გავხდით მეორე წარმტაცი საჰაერო რეისისა: მფრინავქალების პოლინა ოსიპოვას, ვერა ლომაკოს, მარინა რასკოვას ძირდაუშვებელმა გადაფრენამ სევასტოპოლიდან არხანგელსკამდე დაანახა მთელს მსოფლიოს, რომ საბჭოთა ავიაციის განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვს თავისუფალსა და ძლიერს, ამაყსა და ბედნიერს საბჭოთა ქალს.

თითოეული ასეთი გადაფრენა იყო და არის არა მარტო ჩვენი ავიაციის, არამედ მთელი ჩვენი სამეურნეო და სახელმწიფოებრივი წყობილების ძლევამოსილების დემონსტრაცია, რადგან ჩვენი ავიაციის ყოველი რეკორდი—ეს არა მხოლოდ ჩვენი მფრინავების, არამედ ჩვენი კონსტრუქტორების, ჩვენი საბჭოთა ინჟინერების, ჩვენი მუშების, ჩვენი მანქანებისა და ამ მანქანების მშენებელი ჩვენი საბჭოთა ინდუსტრიის ბრწყინვალე გამარჯვების ილუსტრაციაა. სრული სიმართლე სთქვა საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ჩკალოვმა, როცა მის შესახვედრად შეგროვილ მრავალათასიან მიტინგს შემდეგი საგულისხმო სიტყვებით მიმართა: „ჩვენი კი არა, ეს თქვენი გადაფრენა იყოო". მართლაც, საბჭოთა ავიაციის ეს რეკორდები არის საბჭოთა ხალხის, სოციალიზმის ქვეყნის შეუჩერებელი ფრენა მეურნეობისა და კულტურის უფროდაუფრო მაღალ მწვერვალებისაკენ.

როგორც საბჭოთა კონსტრუქციის თვითმფრინავი ანსახიერებს საბჭოთა ეკონომიკის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ისევე საბჭოთა კავშირის გმირი-მფრინავი ანსახიერებს უძლეველ და დიად საბჭოთა ხალხს. საბჭოთა მფრინავშია მოცემული სოციალიზმის მშენებელი მასების შეუდრეკელი ნებისყოფა, მისი გმირობა და სიმამაცე, მისი ბოლშევიკური იდეურობა, მისი თავდადება და უსაზღვრო სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი. ამ უმაღლესი იდეურ-მორალური თვისებებით მთელი საბჭოთა ხალხი და მისი საამაყო შვილები — საბჭოთა კავშირის გმირები —აღჭურვა კომუნისტურმა პარტიამ, ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა **სტალინმა**, რომლის ყოველდღიური მზრუნველობა და უბადლო გენიალური ხელმძღვანელობა არის წყარო, დასაყრდენი და ბიძგის მიმცემი საბჭოთა ქვეყნის ყოველი გამარჯვებისა ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მომქმედი, დიდი ბელადის სიბრძნით შთაგონებული და აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი შეგნებულად ჰქმნის თავის ისტორიას, თავის ყოველდღიურ შრომაში შობს, ზრდისა და წრთვნის მამაც ადამიანებს, აძლევს უდიდეს გასაქანს შემოქმედებითს ძალებს სოციალისტურ საზოგადოებისას, რომელშიაც მილიონობით იბადებიან და იზრდებიან ახალი ადამიანები.

საბჭოთა ავიაციის გმირები—ეს ჩვენი სამშობლოს ოქროს ფონდია. ისინი არიან ჩვენი ქვეყნის სიამაყე, მისი სახელი და დიდება. მათი თითოეული გმირობა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ტრიუმფია. ეს არ შეუძლიათ არ დაინახონ და არ აღნიშნონ საბჭოთა ხალხის მტრებმაც კი. საბჭოთა კავშირის სამი გმირის ამერიკაში გადაფრენის გამო ერთი იაპონური გაზეთი სწერდა: „ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის განსაცვიფრებელი წარმატება, **დამახასიათებელია** საბჭოთა კავშირისათვის, როგორც წარმატება, რომელსაც, გარდა საბჭოთა მფრინავებისა, საეჭვოა ვინმემ მიაღწიოს".

ეს ჭეშმარიტება ზეპირად უნდა დაიმახსოვრონ და მუდამ უნდა ახსოვდეთ იაპონელ სამურაებს, რომლებმაც ახლახან გამოსცადეს თავიანთ საკუთარ ზურგზე არა მარტო საბჭოთა მფრინავების, არამედ საბჭოთა მსროლელების, საბჭოთა არტილერისტების, საბჭოთა ტანკისტების გმირობისა და სიმამაცის ძალა.

ავიაციის დღისადმი მიძღვნილი მწერალთა კრება

17 აგვისტოს საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის 15 წლისთავის გამო შესდგა ავიაციის დღისადმი მიძღვნილი საბჭოთა მწერლებისა და ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშრომელთა საერთო კრება.

მოკლე მოხსენებით საბჭოთა ავიაციის განვითარების შესახებ გამოვიდა ამხ. ალ. ჭეიშვილი.

— ავიაციის დღე,—სთქვა მან,—ღრმად შეიჭრა საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში. ის ნამდვილ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. საბჭოთა ხალხი ამაყობს იმ მიღწევებით, რომლებიც სახელოვანმა საჰაერო ფლოტმა მოიპოვა. მან კარგად იცის, რომ საბჭოთა ავიაციის გიგანტური წინსვლა ჩვენი ქვეყნის მძლავრი ეკონომიური განვითარების, მისი ინდუსტრიალიზაციის ტემპების სარკეა. ავიაციის განვითარების თვალსაზრისითაც საბჭოთა კავშირი უძლიერესი სახელმწიფოა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა 18 საერთაშორისო რეკორდი დაამყარეს. საბჭოთა ავიო-ნავიგატორებმა გადალახეს არქტიკის ყინულოვანი და ნისლიანი სივრცეები და გააერთიანეს ორი კონტინენტი. მათვე [illegible] პოლუსი და [illegible]

ძირდაუშვებელი ფრენის საერთაშორისო რეკორდები. საბჭოთა მფრინავებმა სიმამაცისა და გმირობის ისეთ მწვერვალებს მიაღწიეს, რომ მთავრობამ მათი გმირული მოღვაწეობის შესაფასებლად შემოიღო საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება. ჩვენს მფრინავებს ამოქმედებს საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, რომელიც ყოველი მათი გმირული მოქმედების სტიმულს წარმოადგენს. საბჭოთა ავიაციის გმირები აღზრდილნი არიან ლენინ-სტალინის პარტიის მიერ, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მიერ, რომლის მზრუნველ ხელს ისინი ყოველდღიურად გრძნობენ და რომელსაც მიჰყავს საბჭოთა ავიაცია ახალ - ახალი გამარჯვებისაკენ. ლენინ-სტალინის იდეებით შთაგონებული ჩვენი მფრინავები დღეს მსოფლიო რეკორდებს ამყარებენ, მაგრამ თუ ხვალ ომმა იფეთქა, ისინი გვიჩვენებენ იმის სწორუპოვარ ნიმუშებსაც, თუ როგორ უნდა სოციალისტური სამშობლოს წმინდა მიწა-წყლისა და სოციალიზმის მშენებელი მასების მშვიდობიანი შრომის დაცვა.

მომხსენებლის შემდეგ გამოსულ-

თა საჰაერო ფლოტის დიდ პოპულარობაზე და იმ სიყვარულზე, რომლითაც საბჭოთა ავიაციისადმი გამსჭვალულნი არიან საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები. საბჭოთა ავიაცია ძლიერია არა მარტო თავისი ტექნიკით, არა მარტო თავისი გაწრთვნილი კადრებით, არამედ იმ დაულეველი რეზერვითაც, რომელიც მას მოეპოვება. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები ათიათასობით ამზადებენ მფრინავებს და ავიაციის სხვა სპეციალისტებს, ამასთან ამზადებენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მწერალთა და ლიტ. ორგანიზაციების თანამშრომელთა კრება უღრმესი სიხარულით აღნიშნავს საბჭოთა ავიაციის უდიდეს მიღწევებს და მოუწოდებს მწერალთა საზოგადოებრივობას, რომ მან თავისი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად გახადოს საბჭოთა ავიაცია და მისი შესანიშნავი ადამიანები, რომელთა ყოველდღიური დაუცხრომელი გმირული მუშაობა იძლევა იმის მაგალითს, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოსათვის თავდადება, თუ როგორი უნდა იყოს საბჭო-

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმში

10 აგვისტოს ამხ. კ. ჩარკვიანის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად. პრეზიდიუმის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: მწერალთა კავშირში ახალი წევრების მიღება, თემატიური მხატვრული კრებულების გამოცემა, ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობა და სხვ.

მწერალთა კავშირში ახალი წევრების მიღება

პრეზიდიუმმა განიხილა რამდენიმე ახალგაზრდა ავტორის განცხადება კავშირში მიღების შესახებ. ამ საკითხზე გამოსულმა ამხანაგებმა, პრეზიდიუმის წევრებმა აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებს შორის არიან ავტორები, რომელთა ნაწერები მოწმობენ მათ შეუჩერებელ ზრდას და, რაც მთავარია, მათ ნაყოფიერ მუშაობას თავიანთ თავზე. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მათი ნაწერები საფუძველს იძლევიან, დაისვას საკითხი კავშირში მათი მიღების შესახებ. ასეთი აქტიური ახალგაზრდა მწერალია ამხ. შ. ამისულაშვილი, რომელიც პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო მწერალთა კავშირის წევრად. წევრობის კანდიდატობიდან პრეზიდიუმმა წევრად გადარიცხა პოეტი ქალი მარიკა მიქელაძე და წევრად აღადგინა აგრეთვე ამხ. სიმონ ქვარიანი, რომელმაც უკანასკნელ წლებში განაახლა მუშაობა მხატვრულ პროზაში. პრეზიდიუმმა დაავალა სამდივნოს, რომ შემდეგი სხდომისათვის მოამზადოს საკითხი სხვა ახალგაზრდა ავტორების მწერალთა კავშირში მიღების შესახებ

ახალი კადრების ზრდის პროცესთან ერთად ადგილი აქვს ამის საწინააღმდეგო მოვლენასაც: არის კავშირის ზოგიერთი წევრი, რომელიც თავის უმოქმედობის გამო ვერ ამართლებს იმ ვალდებულებას, რომელსაც აკისრებს მას კავშირის წევრობა. მაგალითად, ერთ დროს ნაყოფიერი პოეტი დ. მებუკე (ცვარნამი) უკანასკნელ ხანებში თითქმის არაფერს არ აქვეყნებს და განზე დგას იმ საკითხებისაგან, რომელნიც აღელვებენ საქართველოს ლიტერატურულ საზოგადოებრივობას. პრეზიდიუმმა, გარიცხა რა იგი მწერალთა კავშირიდან, გამოსთქვა რწმენა, რომ ეს ღონისძიება გააფრთხილებს ამხ. დ. მებუკეს, გააქტიურებს მის შემოქმედებას და ახლო მომავალში კვლავ დაუბრუნებს მწერალთა კავშირის რიგებს.

ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა გაფრთხილება მისცა იმ წევრებსაც, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ან შეანელეს მუშაობა ან ზერელეთ და დაუდევრად მუშაობენ, რის გამო მათი ნამუშევრის ხარისხი ძალიან დაეცა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენისათვის

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ცნობილი მწერლის ალექსეი ტოლსტოის ინიციატივით დაიწყო მუშაობა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ისტორიის შესადგენად. სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ქართული ლიტერატურის ისტორიას. პრეზიდიუმმა დაადგინა, სახელმძღვანელოს ქართული განყოფილების შესადგენად და დასამუშავებლად მოწვეულ იქნან ჩვენი მწერლობისა და მეცნიერების საუკეთესო ძალები. პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია შ. რადიანის, გ. ქიქოძის, ა. ბარამიძის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, არ. ჩიქობავას, ს. ჩიქოვანის და ბ. ჟღენტის შემადგენლობით და დაავალა მას — 15 სექტემბრისათვის დაამუშაოს სახელმძღვანელოს ქართული განყოფილების სქემა და აგრეთვე შეარჩიოს ავტორები სახელმძღვანელოს ცალკეული თავების დასაწერად.

კომკავშირის ოცი წლისთავისათვის

ლენინური კომკავშირის 20 წლისთავისათვის საბავშო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა ამზადებს კომკავშირისა და საბჭოთა ახალგაზრდობისადმი მიძღვნილ კრებულს. როგორც ამ გამომცემლობის დირექტორმა ამხ. კ. ჭანტურიშვილმა განაცხადა, ზოგიერთ მწერალს ამ კრებულისათვის უკვე წარუდგენია გამოქვეყნებული ნაწარმოებები, ხოლო ზოგიერთს — ფრაგმენტები დაუმთავრებელ ნაწარმოებიდან. პრეზიდიუმმა დაადგინა — კრებულში მოთავსებულ იქნას მხოლოდ ახალი და სავსებით დასრულებული ნაწარმოებები, ხოლო ნაწყვეტებს დაეთმოს უმცირესი ადგილი. კრებულის სარედაქციო კოლეგიაში პრეზიდიუმმა გამოჰყო ამხ. კ. ჭანტურიშვილი, ჭანუყვაძე (საქ. ახალ. ლენინური კავშირის ცენტრ. კომიტეტი), კ. ბობოხიძე, ირ. აბაშიძე, დ. შენგელაია და დ. ბენაშვილი.

პრეზიდიუმმა მოიწონა „ლიტერატურულ საქართველოს" რედაქციის გადაწყვეტილება — გამოაცხადოს კონკურსი კომკავშირისადმი მიძღვნილი სასიმღერო ლექსების ტექსტზე, დაამტკიცა კონკურსის პირობები (იხ. ჩვენი გაზეთის 10 აგვისტოს ნომერი) და გამოჰყო კონკურსის ჟიური ამხ. შ. რადიანის, ბ. ჟღენტის, კ. გამსახურდიას, დ. ბენაშვილის და კომპოზიტორ ვ. გოკიელის შემადგენლობით.

მხატვრული კრებული ძველსა და ახალ ტფილისზე

პრეზიდიუმმა მოიწონა და მიიღო მწერალთა ერთი ჯგუფის წინადადება — შედგენილ იქნას ახალ მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული ძველსა და ახალს ტფილისზე. ამ საკითხის დასამუშავებლად პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია (ამხ. სანდრო ეული, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, ლ. ასათიანი), რომელსაც დაევალა, შემდეგი სხდომისათვის პრეზიდიუმს წარუდგინოს კრებულის შინაარსისა და გაფორმების გეგმა.

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში შემავალი მწერლების ნაწარმოებთა კრებულის გამოცემის საკითხი. პრეზიდიუმმა დაავალა „ფედერაციას" დააჩქაროს კრებულის გამოცემა. კრებულის სარედაქციო კოლეგიაში პრეზიდიუმმა გამოჰყო ამხ. ს. კლდიაშვილი, ა. ჭეიშვილი, შ. აფხაიძე, ლ. ქიაჩელი და ი. სულავა.

ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობის საკითხები

პრეზიდიუმმა განიხილა საკავშირო საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მომართვა ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობის გაძლიერების შესახებ და აღნიშნა, რომ საქართველოს ლიტერატურულ ორგანიზაციებში ახალგაზრდა კადრებთან მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის ისე მოგვარებული, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. ერთად - ერთი ორგანო, რომელიც ასე თუ ისე სისტემატურ და გეგმაშეწონილ მუშაობას აწარმოებს დამწყებ მწერლებთან, არის ჟურნალ „ჩვენი თაობის" რედაქცია. მაგრამ მწერალთა აქტივი არ იცნობს საფუძვლიანად, თუ როგორი და რა ხასიათისაა ამ ჟურნალის რედაქციის

პრეზიდიუმმა დაადგინა, თავის უახლოეს სხდომაზე მოისმინოს ჟურნალ „ჩვენი თაობის" მოხსენება ამ საკითხზე და გამოჰყო ბრიგადა (ლ. ქიაჩელი, ი. მოსაშვილი, დ. ბენაშვილი) იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მუშაობდა და მუშაობს „ჩვენი თაობის" რედაქცია ახალგაზრდა ავტორებთან. ბრიგადას დაევალა ათი დღის ვადაში წარუდგინოს პრეზიდიუმს მოხსენება შემოწმების შედეგებზე და იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებასაც იგი საჭიროდ დაინახავს ახალგაზრდა ავტორებს შორის მუშაობის გასაცხოველებ-

კიკვიძე*

ვ. ღარასელი

ზახმიჩთან, ტყეში, კიკვიძის ჯარი
შეჰკრა, შებოჭა მტერმა პირველად.
კვლავ გამცემივით წრიალებს ქარი
და ყორნებს სისხლის ნადიმს ჰპირდება.

ალყა მოარტყეს მის რაზმს თეთრებმა,
ვერ გაუძლებენ მტერს შემოსეულს,
სანამ დილის მზე ამოეთრევა,
მგლები დაგლეჯენ კიკვიძის სხეულს.

შესძულდა ყოფნა, იცის, ეს არის
უკანასკნელი ღამის გათევა,
„ვარსკლავო, ნუთუ ვერ მოვესწრები
მზიურ რიჟრაჟის გამონათებას?!

მოვკვდები ისე, ვით საჭიროა.
სიკვდილი, ჭირი უფრო მამაგრებს“...
ქარი კვლავ დაძრწის და, ვით ჭრილობა!
აჩენს ზეცაზე ღრუბლის ქარაგმებს.

„ასის წინ ერთი თუ გამოხვედი,
ასი ხმალი თუ გიბრძანებს, სდექო!
ვერ დაგამარცხებს ასი ოხერი,
და ასჯერ უფრო უნდა იჭექო!“

ვინა ხარ გმირი? არავინ. თითქოს
ალისფერ ალამს არავინ უმზერს.
დაწვა ლაშქარი სიკვდილის ფიქრით,
გურევი მხოლოდ ვარსკვლავებს უმღერს.

სიმღერამ გული გასჭრა სარკითა.
კიკვიძე უფრო მგზნებარე გახდა.
ცა ვის ინაღვლებს. მთვარე გაჰქიდა
და ზამთრის ღამეც შუაზე გატყდა.

გზა ორი ჩანდა, მაგრამ საშველი
არც ერთ მხრისაკენ წისთვის არ იყო,
„შავო სიკვდილო, სხვერპლი ვარ შენი,
მაგრამ რომელი კარი გაგიღო?“.

მან იცის, ჟანგი გამოხრავს ფოლადს,
გულსა და ღონეს—სულით დაცემა.
დღეს მან პირველად წააგო ბრძოლა,
ასჯერ მოიგო, ერთხელ მარცხდება.

ნუ თუ ეს ჩემი არწივებია,
როგორც აჩრდილნი ტყეში სხდებიან.
სადღაც წარსულან, დასძინებიათ,
შესძახო, აღარ აფრინდებიან.

„ეგებ აენთოს სიჩუმე ცეცხლად,
ეგებ ეწვოდეთ გულები ალში,
ეგებ გააპონ რკალი პირველად
და თავდადებით გავარდნენ ქარში“.

სიჩუმე ისევ. ჯარი სდუმს ისევ.
თვალწინ ჯალათი გამოესახა
—„წიინ!“.
ვინ შესძახა? წამოხტა მყისვე.
მას საკუთარი გული ეძახდა.

და გადამწყვეტი ძახილი გასცა:
„რის გეშინიათ, ბაგე რამ შეკრა?
სიკვდილი მოდის, გზა არ ჩანს არსად,
ახლა გვჭირდება სიმღერა, ცეკვა!

და გარმონის ხმა იშლება ტყეში,
ხმა თითქოს ცამდის აუწევიათ,
ჭუსლები რეკენ, მათ თავის დღეში
ასე ქარიშხლად არ უცეკვიათ.

თვით კიკვიძემაც გაშალა მკლავი,
თითქოს ალყიდან გამოდის, ხაროზს...
იძახის: ნუ თუ ღრუბელი შავი,
ჩვენს მებრძოლ დროშას შეღებავს ხვალო.

ეგების სჯობდეს საკუთარ ხელით
ჩავიკლათ გული, მტერს არ დაუთმოთ.
რაზმი სდუმდა და ჩამქრალი ცეცხლი
ვასილ კიკვიძემ ლაშქარს აუნთო...

„დავმარცხდით, ჩავრჩით, ძმებო, მშვიდობით,
მე მეთაური გაძლევთ მაგალითს.
ვბრძანებ: ივანე, აიღე თოფი,
მესროლე, თუ ხარ ნებით მაგარი!

სწრაფად, მხედარო, უცდი შენს ტყვიას,
მხდალი ვერ მესვრის სიკვდილს, იცოდეთ,
ივანეს მაღლა თოფი ვერ მიაქვს,
გულებიც მგერენ: „გვინდა სიცოცხლე“...

დაუშვა თოფი და წყვილი ცრემლი
ჩამოიწმინდა ლოყაზე მდგარი,
კიკვიძეს უთხრა პატივისცემით:
„თვითმკვლელობა ხომ ლაჩრობა არის...

თუ არ ვსარგებლობ ჯარში გავლენით,
ჰკითხე წინამძღოლს, ჩვენ დიდ პარტიას:
დიდი ოქტომბრის მძლოლი ლენინი
ჩვენ თვითმკვლელობას არ გვაპატიებს“.

ცეცხლი აენთო კიკვიძის თვალში:
„თქვენგან მე სწორედ ამას ვუცდიდი...“
ცხენს შემოახტა, აფრინდა რაში,
როგორც ალამი რევოლუციის.

„წინ, არწივებო, ჩავკლათ სიკვდილი,
ცხოვრებას თუ არ დაგვანებებენ...
ჩვენს სიმღერას თუ ვერ დავასრულებთ,
ჩვენი შვილები გააგრძელებენ“.

---

*) ნაწყვეტი პოემიდან.

ეკ. გაბაშვილი, როგორც რეალისტი

ეკატერინე გაბაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. სულ მალე მიიქცია მან მკითხველი საზოგადოების ცხოველი ყურადღება და თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა კრიტიკული რეალიზმის სტილის მწერალთა შორის. თითქმის 70 წლის მანძილზე ეწეოდა იგი დაუღალავ შემოქმედებითს მუშაობას და დამახასიათებელი მხატვრული ფერებით გვიჩვენებდა თავისი ეპოქის ადამიანების ცოცხალ სახეებს. ეკ. გაბაშვილი კარგად იცნობდა ადამიანს, მის სულიერ სფეროს. ამიტომ მწერლის ძლიერი მხატვრული შესაძლებლობა მჟღავნდებოდა განსაკუთრებით ადამიანის განცდების უშუალო და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ასახვაში. ეს ეკ. გაბაშვილის მხატვრულ ნაწარმოებს აძლევდა ემოციურ ძალას, მკითხველზე უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობას.

ეკ. გაბაშვილის, როგორც მწერლის, მსოფლმხედველობა თავისი დროისათვის ობიექტურად უდაოდ პროგრესულ ხასიათს ატარებდა. სხვანაირად ნაციონალურ და სოციალურ წინააღმდეგობათა ისეთ მძაფრ ეპოქაში, როგორშიაც გაბაშვილს მოუხდა გამოსვლა, იგი ვერ გახდებოდა მკითხველი მასისათვის საყვარელი და მიმზიდველი მწერალი. გაბაშვილმა განიცადა „თერგდალეულთა“ და ხალხოსან მწერალთა მნიშვნელოვანი გავლენა, მაგრამ მწერალს მხოლოდ ამ მიმართულებათა გავლენით არ განუსაზღვრავს თავისი შეხედულებები საზოგადოებრივ მოვლენებზე. მის მხატვრულ რეალიზმს არსებითი კავშირი ჰქონდა რუსეთის ლიბერალურ მწერალთა ლიტერატურულ ტრადიციებთან. ამ კავშირმა, როგორც ქვევით დავინახავთ, ბევრი თავისებურება შემატა გაბაშვილის რეალიზმს და ამ უკანასკნელს თავიდანვე ერთგვარად განსხვავებული სახე მისცა.

მწერლის, როგორც რეალისტის, განსაკუთრებულ ღირსებად უნდა ჩაითვალოს მოვლენათა უშუალო ხედვა და რეალისტური გააზრება, ადამიანის მძიმე ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური მდგომარეობის პირდაპირი განცდა. მწერლის მთელი შემოქმედებითი პოტენცია დაკავშირებული იყო ხალხის, ადამიანის ბედთან, მის უკეთეს მომავლისაკენ მისწრაფებასთან, მაგრამ ხალხსა და ადამიანზე მას ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწარმოებებში ადამიანთა კონკრეტულ სახეებს ვხვდებით. იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მწერალი უაღრესად მუქი ფერებით და მძაფრად აგვიწერს პიროვნების ადამიანური ღირსების დამცირებას, მის უძლურებას გაბატონებულ საზოგადოებრივ სიტუაციაში, ვერ სცილდება იგი საბოლოოდ ადამიანის ცნების ზოგად გაგებას.

ეს იყო ეკ. გაბაშვილის რეალიზმის შინაგანი სისუსტე, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მწერალი არ იდგა კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე. არსებულის გარდაქმნა, უფრო სწორად მოწესრიგება შესაძლებლად მიაჩნდა წოდებათა (კლასების) შეგნების ამაღლებით, ადამიანისადმი პატივისცემის გრძნობის დანერგვის გზით. კლასობრივი ბრძოლის უარყოფა ხელს უშლიდა მწერალს დაეხატა მებრძოლი ტიპები, მოეცა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მძაფრი სურათები, აესახა თანამედროვეობისათვის ყოველმხრივ დამახასიათებელი დიდი ამბები. მთელ თავის მხატვრულ ძალას მწერალი ამჟღავნებდა ადამიანის ინდივიდუალური ხასიათის, ყოფითი „წვრილმანების“, რომანული ამბების გადმოცემაში. ეკ. გაბაშვილი არ მიმართავს მხატვრულ ანალიზს და არ ამყარებს კანონზომიერ კავშირს ერთი მოვლენისას მეორესთან, პატარა ამბებისას დიდ მოვლენებთან, ე. ი. არ ეძებს ამა თუ იმ უარყოფითი „შემთხვევის“ სოციალურ საფუძველს. ასეთ შემთხვევებს იგი უყურებს, როგორც ცხოვრების მოუწესრიგებლობისა და კულტურული ჩამორჩენილობის უბრალო შედეგს. ამიტომ ყველა ადამიანს, რომელ სოციალურ წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, ერთნაირი გულისტკივილით, ერთნაირი სიმპატიითა ან ანტიპატიით ეპყრობა. ეკ. გაბაშვილი სიმართლით აგვიწერს გლეხის წარსული ცხოვრების სურათებს, ამაღელვებელ ფერებში იძლევა ნინიკების ცხოვრებას, იჩენს მათდამი თანაგრძნობას, მაგრამ ამავე დროს აწუხებს ფლანგიაშვილებისა და ყლაპიაშვილების ფუქსავატი ცხოვრებაც, ცდილობს დაანახვოს მათ საკუთარი „სისუსტე“ და ჭკუა ასწავლოს. გაბაშვილმა ღარიბ მაგდანას სამართალი აპოვნინა, გაამარჯვებინა იმიტომ, რომ მას ასე სურდა.

მხატვრული სიტყვა ეკ. გაბაშვილის ხელში იყო კულტურული პროპაგანდის იარაღი ცხოვრების არა გარდაქმნისათვის, არამედ მოწესრიგებისათვის. ყველაფრის მთავარ მიზეზად მწერალი სთვლიდა კულტურულ ჩამორჩენილობას, ამიტომ ეწეოდა ცოდნისა და კულტურის პროპაგანდას. ერთის მხრივ მიმზიდველად ხატავდა ისეთ ტიპებს, რომლებიც გატაცებით მუშაობდნენ ხალხში ცოდნის შეტანისათვის, რათა ამით გამოეწვია მკითხველში წაბაძვის, ანალოგიური მუშაობის სტიმული, მეორეს მხრივ, ნაწარმოებს ისეთ მხატვრულ სიტუაციაში შლიდა, რომ ყოველი უარყოფითი მოვლენის მიზეზად გამოყავდა ადამიანთა გონებრივი ჩამორჩენილობა, ტრადიციული ჩვევები და უკულტურობა. ამ შემთხვევაში მწერლისათვის არ წარმოადგენდა აუცილებელ მოთხოვნილებას გაემახვილებინა მკითხველის ყურადღება კლასობრივი მომენტებისადმი, დაეყენებინა წოდებათა (კლასების) შორის აქტიურ წინააღმდეგობათა საკითხი.

ეკატერინე გაბაშვილის რეალიზმის დადებითი ელემენტი, რომელიც მისაღებსა და აქტუალურს ხდის მის მხატვრულ ნაწარმოებებს თანამედროვეობისათვის და რომლითაც გვეხმარება დღესაც ახალგაზრდობის აღზრდაში, არის მოვლენებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. სოციალური და ისტორიული ანალიზის ნაცვლად, ეკ. გაბაშვილის რეალიზმისათვის დამახასიათებელია კრიტიკული „ანალიზი“. კრიტიკული რეალიზმი, მიუხედავად მწერლის მსოფლმხედველობისა, კლასობრივი ბრძოლის ეპოქაში ობიექტურად პროგრესულ როლს ასრულებს, ობიექტურად აშიშვლებს წარსული ცხოვრების სოციალურ უკუღმართობას, და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე აღზრდილ ახალგაზრდობას საშუალება ეძლევა სწორად შეისწავლოს წარსული, თვითონ დააკავშიროს წვრილმანები საერთო მოვლენებთან.

კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც ანსხვავებს ეკ. გაბაშვილს თავისი ეპოქის დიდი ქართველი რეალისტებისაგან, არის შედარებით ნაკლები დაინტერესება იმ დიდი პრობლემებით, რომლებიც აწუხებდა იმ ეპოქის მწერლობას, რომელშიაც მას უხდებოდა მოღვაწეობა. ეკ. გაბაშვილს ყოველთვის არ იტაცებდა ხალხის ყოველდღიური ცხოვრების სინამდვილე, უაღრესად დიდი ტიპიური მოვლენები. იგი მიმართავდა უმთავრესად „პატარა“ ამბებს, აშუქებდა ცხოვრების მხოლოდ დამახასიათებელ „კუნჭულებს“. ამ გარემოებამ განსაზღვრა აგრეთვე მწერლის მოთხრობების ფორმაც. „პატარა“ ამბებისათვის მწერალს არ სჭირდებოდა დიდი მხატვრული ტილოები, ის სათქმელს საუკეთესოდ ათავსებდა პატარა მოთხრობებში და ცხოვრების კუნჭულებში დიდი მხატვრული ძალით გვიჩვენებდა ტიპიურსა და არსებითს. ეკ. გაბაშვილი არის მცირე ფორმის მოთხრობების ყველაზე საუკეთესო ოსტატი.

ეკ. გაბაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია რელიგიური კანონების და ტრადიციული ჩვევების გაბედული დაგმობა. მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ როგორ სთელავდნენ ახალგაზრდა ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებას, თავისუფალ სიყვარულს, ქალის უფლებას რელიგია და ძველი ადათჩვევები. იგი უმთავრესად დაინტერესებული იყო ახალგაზრდა ადამიანის ბედით. ამიტომ მის მოთხრობებში რელიეფურად და რომანტიული ფერებით არის ასახული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ახალგაზრდა ადამიანის პირადი განცდები, მისი სიჭაბუკის წლების მძაფრი ცხოვრება, ბუნებრივად შემზადებული თავისუფალი სიყვარული, რომელსაც ხან რელიგია ეღობება წინ, ხან ტრადიციული ჩვევები, ხან კიდევ წოდებრივი. განსხვავება.

ეკ. გაბაშვილი ჩვენი ეპოქისათვის მნიშვნელოვანია როგორც მხატვარი, ჰუმანისტი და რეალისტი. მისი რეალიზმი გვეხმარება წარსულის გაგებასა და შესწავლაში.

ერ. ასტვაცატუროვი



გლეხის ქალი ქარგავს — მხატ. ა. ვენეციანოვი
(ტრეტიაკოვის გალერეის გამოფენიდან)

ნიკო შიუკაშვილი

14 აგვისტოს გარდაიცვალა დამსახურებული დრამატურგი ნიკოლოზ ივანეს-ძე შიუკაშვილი.

ნიკო შიუკაშვილი დაიბადა სოფ. ხოდაშენში 1870 წელს. პირველდაწყებითი განათლება ნიკომ მიიღო მშობლების ოჯახში. შემდეგ იგი შეჰყავთ თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1885 წელს იგი ამთავრებს სასწავლებელს და გადადის ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ეს ის დრო იყო, როცა იოსებ ლაღიაშვილმა მოჰკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, როცა სემინარიაში ამ ამბების გამო სულისშემხუთველი ატმოსფერა გამეფდა. ახალგაზრდა ნიკო ვერ უძლებს ამას, იმავე წელს სტოვებს სემინარიას და შედის ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. 1892 წლიდან, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, იგი იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომლისათვისაც თავი არ მიუნებებია სიკვდილის დღემდე.

ნიკო შიუკაშვილი მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე და მწერალი იყო. მწერლობას მან ადრე მოჰკიდა ხელი. ჯერ კიდევ 16 წლისამ ვალერიან გუნიას სათეატრო ჟურნალში გამოაქვეყნა თავისი ყრმობის ნაწარმოები — მოთხრობა „სურათი სოფლის ცხოვრებიდან“. ამ დროიდან იგი დროგამოშვებით ათავსებდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში პუბლიცისტურ წერილებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე.

დრამატურგობა ნიკ. შიუკაშვილმა დაიწყო 1906 წელს. ამ დროს იგი პედაგოგობას ეწეოდა ახალციხის ერთ-ერთ სასწავლებელში. თავისი პირველი დრამატურგული ცდის შესახებ ნიკ. შიუკაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში გადმოგვცემს შემდეგს: „ახალციხის სცენისმოყვარეებს პიესები შემოაკლდათ. მე გამოვეხმაურე. სამ კვირაში დავწერე ჩემი პირველი დრამა „გამხმარი ფოთოლი“ და გადავეცი მათ, როგორც ვითომდა ტფილისიდან მიღებული ვიღაც უცნობი ავტორის ნაწარმოები. პიესა მოეწონათ და წარმოადგინეს. საზოგადოებაც მას თანაგრძნობით შეხვდა. ავტორის ვინაობა გაიგეს შემდეგ“.

ცხოვრების გამოცდილებით აღჭურვილი და პირველი გამარჯვებით გამხნევებული ნ. შიუკაშვილი იწყებს სისტემატურ მუშაობას დრამატურგიის დარგში. 7-8 წლის განმავლობაში მან დასწერა და გამოაქვეყნა პიესები „მეგობრობა“, „სიმახინჯე“, „მთის ზღაპარი“ „ციცინათელა“, „აბესალომის თმები“, „ნაგავი“, „მხოლოდ ერთხელ“, „როსტევანი“, „ჯაშუში“ და სხვ. აქედან ქართულ სცენაზე ხშირად იდგმებოდა „მეგობრობა“, „სიმახინჯე“, „ციცინათელა“, რომელიც ქართველი ინტელიგენციის ყოფაცხოვრებას გამოხატავს. როგორც დრამატურგი, ნ. შიუკაშვილი ამ პიესებში უახლოვდება 1905 წლის რევოლუციის შემდეგდროინდელ რუს და ევროპელ დრამატურგებს, რომლებიც ცდილობდნენ გმირთა ღრმა სულიერი კონფლიქტებით ეჩვენებინათ და გაეხსნათ სოციალური წინააღმდეგობანი. ფსიქოლოგიურად გაღრმავებული სოციალური დრამის ერთ-ერთ ცდას ნ. შიუკაშვილის შემოქმედებაში წარმოადგენდა პიესა „სულელი“-ს პირველი ვარიანტი, რომელიც, ასახავდა რა რევოლუციურ მოძრაობას, სწორად და ტიპიურად ვერ იძლეოდა მაშინდელ სინამდვილეს. მან შემდეგ, რაც ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენებამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ შუქი მოჰფინა ამიერ-კავკასიის და საქართველოს ახლო რევოლუციურ წარსულს. როგორც ვიცით, ნ. შიუკაშვილმა ამ მოხსენების საფუძველზე ხელახლა გადააკეთა თავისი პიესა „სულელი“, გვიჩვენა რა ბოლშევიკთა ბრძოლა ცარიზმის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ და დიდი ბელადის სტალინის ხელმძღვანელი როლი ამ ბრძოლაში, საბჭოთა მაყურებელმა მიიღო და მოიწონა ეს პიესა.

შიუკაშვილს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე კომედია — „აბესალომის თმები“, „ბერიკობა“, „ამერიკელი ძია“ და სხვა. ეს უკანასკნელი პიესა წარმოადგენს მსუბუქი ჟანრის ნაწარმოებს, რომელიც მეტად ზერელედ ასახავს და რამდენადმე ამახინჯებს კიდეც საბჭოთა სინამდვილეს.

ამ მარცხის გამოსწორება მან სცადა მეორე პიესაში — „ამერიკელი ძიის გასაბჭოება“. მაგრამ ამ პიესას სცენა არ უნახავს. ამათ გარდა ნ. შიუკაშვილს დარჩა კიდევ რამდენიმე გამოუქვეყნებელი დრამატიული ნაწარმოები: „მადლობა“, „გვირგვინი“, „დირექტორი სურმაძე“ და სხვა. იგი არის აგრეთვე საბავშვო პიესების „ბეკეკას“ და „ჯაშუშის“ ავტორი. უკანასკნელად მან დასწერა პიესა საბჭოთა თემაზე „მზე შინა და მზე გარეთა“, სადაც სოციალისტური ცხოვრების წარმტაცი სინამდვილით აღფრთოვანებული ავტორი გვიხატავს სოციალიზმის მშენებელი მასების საამურ შრომასა და ბედნიერ ცხოვრებას.

ნ. შიუკაშვილი კარგად იცნობდა თეატრს, სასცენო ტექნიკას და მსახიობის ხელოვნებას. მთელი რიგი წლების მანძილზე ჩვენი აკადემიური თეატრების სტუდიებში იგი კითხულობდა ლექციებს დიქციასა და მხატვრულ მეტყველებაზე. ამ ლექციების მთელი კურსი სახელგამმა 1926 წელს ცალკე წიგნადაც გამოსცა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნ. შიუკაშვილი დიდი ენერგიით და ენტუზიაზმით განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და დრამატურგიულ შემოქმედებას. მით უფრო სამწუხაროა ჩვენი საზოგადოებრივობისათვის ამ დიდად ნაყოფიერი მოღვაწისა და დრამატურგის დაკარგვა.

○

17 აგვისტოს, ნაშუადღევს, ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც დასვენებული იყო დრამატურგ ნ. შიუკაშვილის ცხედარი, მისი ხსოვნის პატივსაცემად შეიკრიბნენ მწერლები, მხატვრები, ხელოვნების და თეატრის მუშაკები. სამგლოვიარო მიტინგი გაიხსნა დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარის ამხ. პ. კახდელაკის მოკლე სიტყვით. მწერლებისა და დრამატურგების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გ. ბუხნიკაშვილმა, ხელოვნებისა და თეატრის მუშაკთა სახელით სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ამხ. აკ. ვასაძემ.

საღამოს ხუთ საათზე ნ. შიუკაშვილის ცხედარი ხელოვანთა სასახლიდან გამოასვენეს დამსახურებულმა მწერლებმა და თეატრის მოღვაწეებმა.

საღამოს 7 საათზე განსვენებული დრამატურგი დაკრძალულ იქნა ვაკის სასაფლაოზე — ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

მცირე შენიშვნა დიდი საქმის გამო

კონსტანტინე გამსახურდია

I

ამხ. ლავრენტი ბერია საქართველოს კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობაზე თავის მოხსენებაში უდიდესი ყურადღებით ექცევა სახალხო განათლების ფრონტს.

ამავე მოხსენების მიხედვით, ჩვენი რესპუბლიკის წლევანდელ ბიუჯეტში განათლებისათვის გადადებულია 370,5 მილიონი მანეთი. ცხადია, ამავე თანხებიდან იცემა საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებიც.

ასეთი დიდი ყურადღება ჩვენი ხელისუფლებისა უთუოდ ავალებს ყველას, ვისაც რაიმე კავშირი აქვს ჩვენი ახალი თაობის აღზრდასთან, უდიდესი პასუხისმგებლობით მოექცეს დაკისრებულ ვალდებულებას.

გადაათვალიერეთ ი. გოგებაშვილის მიერ გამოცემული „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „იავნანამ რა ჰქნა“ და სხვა საყმაწვილო წიგნები. როგორის სათუთი სიყვარულით, დიდი გემოვნებითა და ერუდიციითაა აღბეჭდილი ყოველი მათგანი!

მათი გამოცემა მოუხერხებია განსვენებულ პედაგოგს იმ საშინელ დროში, როცა ქართველი ხალხის გონების დაბნელებისათვის უფრო მეტად ზრუნავდნენ, ვიდრე მისი განათლებისათვის, როცა ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ჩამოთხოვილი კაპიკებით იცემოდა ქართული წიგნი და ი. ჭავჭავაძე ნატრობდა: „ღმერთო, ისეთ დროს მომასწარი, ქართული წიგნი საკუთარ ფეხზე იდგესო“.

დღეს სტალინური მზრუნველობის წყალობით მილიონები იხარჯება სასკოლო სახელმძღვანელოთა შესადგენად.

მთელი კომისარიატი ხელმძღვანელობს სასკოლო ლიტერატურის გამოცემას, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, ამ ფრონტს ჩვენი ქვეყნის განათლებისას ჯერაც ვერ ექცევა სათანადო ყურადღება.

უპირველესი მიზეზი მაინც ესაა: სახელმძღვანელოების შემდგენელებად მეტწილად ისეთი პირები გვევლინებიან, რომელთაც თავათ ესაჭიროებათ განსწავლა.

არც ცოდნა, არც საქმისადმი სიყვარული, არც გემოვნება და არც საზოგადოებრივი ავტორიტეტი გააჩნიათ მათ სათანადო.

ცნობილია, ადამიანი სიყრმესა და სიჭაბუკეში სწავლობს ამა თუ იმ ენას და თუ ამ პერიოდებში შეირყვნა მისი მეტყველება, მერმე გვიან იქნება ნეკზე კბენანი.

გასული წლების გააფთრებული პოლემიკა ქართული ენის სიწმინდის ლოზუნგებით წარმოებული ამ ფრონტს სავსებით არ შეხებია, ეს უბანი რატომღაც გამორჩა ჩვენი მწერლობის ყურადღებას.

ამიტომაც სრული მშვიდობა სუფევდა სახელმძღვანელოების შემდგენელთა შორის.

არსებითად სწორედ ამ უბანში უნდა დაწყებულიყო განგაში. ჩვენს წინაშე ძევს რამდენიმე სახელმძღვანელო, ქრესტომატია და საკითხავი წიგნი, საშუალო სკოლისათვის გამოცემული.

არც ერთ მათგანს არ აკლია ავტორიტეტული წარწერა: „დამტკიცებულია სსრ განსახკომის მიერ“.

განსახკომი ჩვენი ქვეყნის განათლების ხელმძღვანელია და სამწუხაროა, რომ ეს კომისარიატი ასე განუკითხავად არიგებს თავის ვიზას.

უწინარესს ყოვლისა გამოცემათა ფორმის გამო მოგახსენებთ: როცა სახელმძღვანელოდ შედგენილ წიგნს აწვდიან ყმაწვილს, სწორედ ასეთ შემთხვევაში მართებთ გამომცემელთ მომეტებული ზრუნვა გამოცემის ხარისხისათვის.

საკითხავი მასალა უთუოდ კარგად უნდა გაფორმდეს, შესაძლებელი მტკიცე ყდაა საჭირო, გარკანზე ლამაზი წარწერანი, ქაღალდის კარგი ხარისხი და შრიფტების სათანადო შერჩევა.

თითქმის მთელი სასკოლო ლიტერატურა გამოცემულია ცუდ ქაღალდზე, წიგნს ხელში აიღებთ, იგი ისე შეკინძულია, გადაშლილი ავტომატიურად დაიკეცება, თუ ძალას დაატან უეჭველად გაიხლიჩება.

გარეკანის კარტონზე ბუსუსიანი ქაღალდია გადაკრული. ტიპოგრაფიული ნიშნებით აწყობილი სათაური ისე მკრთალია, თუ წიგნი მცირე ხანს დარჩა ვიტრინის მზერეში, მთლად გახუნდება.

ახლა ვიკითხოთ, რომელ წიგნს აწევს ყველაზე მეტი ჯაფა? ცხადია ისეთს, რომელიც მოზარდს უჭირავს ყოველ დღე ხელში. რომანთა შორის საუკეთესოსაც, ვთქვათ, ათჯერ წაიკითხავენ და წიგნთსაცავის თაროზე დააბინავებენ, ხოლო სახელმძღვანელოს ყოველდღე ფურცლავენ.

უკვე ცნობილი ამბავია: სახელმძღვანელოების საქმე მომგებიან საქმედ იქცა, ამ ბოლო ხანში „მოიჯარადრის“ თვალით შესცქერიან მას „პედაგოგები და შემდგენელნი“.

რომელი ქრესტომატიაც არ უნდა აიღოთ ხელში, ცხადად შეამჩნევთ ერთ ტენდენციას: სამი მეოთხედი მასალისა ე. წ. კლასსიკოსებია.

ამის მიზეზი ორგვარია:

ზოგიერთ კომპილატორს კლასიკოსები იმიტომაც უყვარს, რომ ესენი „მშვიდი“ ხალხია, მათ სიცოცხლეშიც არავინ აძლევდა ჰონორარს და სიკვდილის შემდეგ ვინ და მოითხოვს? თანამედროვეთა მიმართ ასეთი ტაქტიკა აქვთ: ახალი მწერლობის ნიმუშების დაბეჭდვას გაურბიან, თუ დაბეჭდეს, მეტწილად ანონიმურად ათავსებენ მათ.

ერთი მომენტიც საგულისხმოა:

ქართველ ძველ ინტელიგენციაში არსებობს არც ისე აშკარად გამხელილი ტენდენცია ქართული თანამედროვე მწერლობისადმი აგდებული დამოკიდებულებისა.

ასეთი პირები ჯერაც მოიპოვებიან ჩვენს კრიტიკოსთა და პედაგოგთა შორის, უნივერსიტეტის წრეებშიაც ნაწილობრივად. კრიტიკოსებს ეს იმიტომ მოსდით, რომ ისინი დატკეპნილ ტრამპლინებს შესჩვევიან (ან არა და „უტკივარი თავი რად ავიტკივოთო“). პედაგოგებს მეტწილად ძველი აზროვნების ინერციისაგან ვერ დაუღწევიათ თავი.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს უეჭველად მავნებელი ტენდენციაა. თუ ვისმე ჰგონია, თანამედროვე საბჭოთა მწერლობა საქართველოსი თითქოს ნაკლებ საინტერესო იყოს, ვიდრე თუნდაც გასული საუკუნეებისა, ეს უეჭველად შემცდარია. მეტს ვიტყოდით, ასეთი აზროვნება წმინდა წყლის რეტროგრადობიდან, უკუმხეირიობიდან გამომდინარეობს.

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, როგორც იდეურობის, ისე ოსტატობის მხრივ წარსულისას რომ ჩამორჩენოდა, ეს უთუოდ დიდი უბედურება იქნებოდა ჩვენთვის, ჩვენი კულტურისათვის.

ვისაც ჩვენი ქვეყნის პროგრესი და აღმავლობა სჯერა, მისთვის ეს ანბანური ჭეშმარიტებაა.

პირიქით, არც ქართულ ენას და არც ჩვენს ლიტერატურას არც ერთ საუკუნეში ასეთი დიდი დიაპაზონი არა ჰქონია.

ესმით ეს განსახკომის მიერ დამტკიცებულ პროგრამათა ავტორებს, ან თუ გნებავთ ქართული ენის ქრესტომატიების შემდგენელთ? შესაძლოა ამ უკანასკნელთ ესმოდეთ, მაგრამ მერკანტელიზმი არც ისე იოლად დასაძლევია.

იაკობ გოგებაშვილს ერთადერთი სტიმული ამოძრავებდა: ეს იყო სიყვარული ჩვენი მწერლობისადმი.

ლიტერატურის სახელმძღვანელოს შედგენა რა ბედენაა, ფიქრობს ზოგიერთი პედაგოგი. თუ გოგებაშვილს სიყვარულის მეტი არაფერი ამოქმედებდა, მიტომაც დარჩა ფანჩატურები. აიღეთ სხვისი ნაწერები და საკუთარი მაკრატელი. იშოვეთ წებო და რანგების მიხედვით დაალაგეთ კლასიკოსების ფრაგმენტები. აქა-იქ განმარტეთ ათიოდე სიტყვა და თითო გვერდიანი „ბიოგრაფია“ შეხანხლეთ.

წიგნის „გახატარებლად“ კარგი იქნება, თუ რომელიმეს ჩაირევთ განსახკომის მუშაკთაგანს, ან გამომცემლობის კაცს გაიამხანაგებთ, ესენი დასძრავენ წიგნს.

გამოცემას მიუჩინეთ რომელიმე „მშვიდი“ რედაქტორი. მორჩა და გათავდა!

ცნობილია, წიგნების გარკანებზე გამოცხადებული რედაქტორები მაინცდამაინც არ იწუხებენ თავს. შემდგენელნიც მეტ წილად ისეთებს ირჩევენ, ვისაც თავათ სჭირია რედაქტორი, ხანაც მცოდნე რედაქტორებიც აცხადებენ თავიანთ გვარს, მცოდნე, მაგრამ „არაცნობისმოყვარენი“.

სასტიკად უნდა დავარტყათ ლიტერატურულ კორუპციას, ასეთ რედაქტორებს სასტიკად უნდა მოვეპყრათ.

დამნაშავეა არას მცოდნე, როცა თავის უვიცობაში ვერ გარკვეულა, უარესად დამნაშავეა მცოდნე, როცა თავის მოვალეობას ხელაღებით ექცევა.

მაგალითისათვის განვიხილოთ ალ. ღლონტისა და ბ. წულეისკირის „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“.

მასალა მექანიურადაა დალაგებული. 68 გვერდი ილიას უჭირავს, შემდეგ აკაკის და ყაზბეგს ასიოდე, ბოლოში სამიოდე თანამედროვე ლექსია, პროზიდან მარტო ერთი ნიმუშია წარმოდგენილი.

ილიას ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: „ილიას დედა თბილისელი გაქართველებული სომხის ქალი“ იყოვო.

„გაქართველებული“? თანამედროვე შემეცნება ეროვნებისა ასეთია, თუ პიროვნებამ გვარი და ენა გამოიცვალა, იგი ეროვნებასაც იცვლის. ყოველ შემთხვევაში სჯობია ტფილისელი, სომხის.

შემდეგ აბზაცში ყოველ წინადადებაში ქვემდებარეა „ილია, ილია, ილია“.

ბიოგრაფიის ავტორს ნაცვალსახელის მოხმარა არა სცოდნია. იქვე ვკითხულობთ ასეთ ნონსენს: „ილიამ უარყო (თუ უარჰყო?) საეკლესიო-ფეოდალური ენა“.

ასეთი ტერმინი არ არსებობს ლიტერატურის ისტორიაში.

იქვე: „ილია ილაშქრებს „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს რედაქტორ კოტკოვის წინააღმდეგ“. უნდა დაეწერა: „რედაქტორის კოტკოვის“ და სხვ.

წიგნის შემდგენელი გაურბის მწერალთა იდეურ დახასიათებას, საერთოდ ლაპიდარულად წერას არჩევს, რადგან „ჩავარდნის“ ეშინია, ალბათ. აკაკის ბიოგრაფიაც გვერდნახევარია.

„ა. წერეთელი ილია ჭავჭავაძესთან ერთად ყველაზე ნაყოფიერი პოეტი იყო“ (რომელ ყველაზე?).

ვის გულისხმობს აქ ავტორი? ერთი რომ ყველაზე მეტად უნდა ეთქვა, შემდეგ ამისა უნდა ვიცოდეთ ვინ არიან ამ „ყველას“ თანაზიარნი?

ახლა ვიკითხოთ რას ნიშნავს ეს „ილია ჭავჭავაძესთან ერთად“? არსად ნაცვალსახელი არ იხმარება, ისე რომ მკითხველს თავს მოაბეზრებენ აკაკის საყვარელი სახელის ხსენებით.

დასასრულ დიდ სიბრძნეს გვაუწყებს „ბიოგრაფი“. თურმე აკაკისაც უარუყვია ფეოდალურ-საეკლესიო (sic) ენა და ისევ „ილია ჭავჭავაძესთან ერთად“ (მან) ჩაუყარა (თურმე) საფუძველი ახალ სალიტერატურო ენას“.

ფეოდალური და საეკლესიო დიამეტრალურად საწინააღმდეგო ცნებებია და არ შეიძლება მათი მოთავსება ერთი რუბრიკის ქვეშ.

ახალი სალიტერატურო ქართული მარტო ილიასა და აკაკის დაფუძნებული როდია, ამ საქმეში წილი უდევთ უწინარეს ყოვლისა დავით გურამიშვილს, იოანე ბატონიშვილს, ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს, ვაჟას და სხვ.

იქვე ასეთ აბზაცს წააწყდებით: „აკაკი წ. მეტად დიდი ნაყოფიერი პოეტი იყო, ნახევარ საუკუნის მანძილზე ჩვენში არ დარჩენილა არც ერთი ჟურნალი და გაზეთი, სადაც აკაკის არ ეთანამშრომლა“.

„მეტად დიდი ნაყოფიერი“ რას ნიშნავს? არც ისაა სწორი თითქოს აკაკი განურჩევლად ეთანამშრომლა მთელ მაშინდელ პრესაში. ცნობილია აკაკი არც „კავკაზში“, არც „ტიფლისკი ლისტოკში“ არ თანამშრომლობდა.

ასევე ზერელედ და უხეირო ენით დაწერილია ვაჟას ბიოგრაფიული სქემა. შიგა და შიგ ასეთ კურიოზულ გამოთქმებს ვხვდებით: „პიროვნება იღვიძებს და მხედრდება დახავსებული თემის ტრადიციების წინააღმდეგ“.

იქვე: „ვაჟას მამა“ „მჭერმეტყველი და ცნობისმოყვარე“ ყოფილა თურმე. ალბად ავტორს „ცოდნის მოყვარული“ უნდოდა ეთქვა.

აქაც ხშირად ღალატობს ავტორი სწორწერის ელემენტარულ კანონებს.

ვაჟა „ჩაიკეტებოდა თავის პატარა ოთახში და განუწყვეტლივ სწერდა“.

ზოგიერთ გულუბრყვილოს მართლაც ასე წარმოუდგენია მწერლის ინტენსიური მუშაობა — „ჩაიკეტება და სწერს განუწყვეტლივ“.

უგემურად გამოცემულია შ. თაბუკაშვილის და ს. გაჩეჩილაძის მიერ შედგენილი „ქართული ლიტ. ქრესტომატია“. სახელგამი, 1938 წ. წიგნი დაბეჭდილია მდარე ქაღალდზე, ტრაფარეტული გაფორმება, გარკანზე ბუსუსიანი ქაღალდია გადაკრული, დაკინძულია სახელდახელოდ.

ილიას, აკაკის, ვაჟას და რ. ერისთავის გვერდით ჭარბად წარმოდგენილი არიან ე. გაბაშვილი, ნიკ. ლომაური, ე. ნინოშვილი, ი. ევდოშვილი, დასასრულ სამიოდე თანამედროვე პოეტი.

თანამედროვე პოეტების ბიოგრაფია ოთხიოდე სტრიქონითაა მოხაზული. მაგ. ა. მაშაშვილს ასე ახასიათებენ შემდგენელნი: „პირველი ლექსი 1921 წ. დაიბეჭდა, ლექსებს გარდა სწერს პიესებსაც“.

გ. ქუჩიშვილი 1908 წ. გამოსულა ლიტ. ასპარეზზე, „ამის შემდეგ განუწყვეტლივ წერს ლექსებს და პატარა მოთხრობებს“.

შემდგენელებს საჭიროდ არ მიუჩნევიათ არც ქართული საბჭოთა პროზის, არც ფოლკლორული მასალის, არც მოძმე რესპუბლიკების და არც დასავლეთის ლიტერატურათა ნიმუშების წარმოდგენა.

მეცხრამეტე საუკუნის მწერლობას რატომღაც წინ უძღვის არსენას ლექსი და ზღაპარი „ტროყია“.

ილიას ბიოგრაფია ფრიად სქემატიურადაა დაწერილი თითქმის ერთ გვერდზე.

მეორე აბზაცში ასეთ რამეს ვკითხულობთ: „როდესაც ილიას 8 წელი შეუსრულდა, მას ქართული წერა-კითხვა დააწყებინეს, ამ დროს მისი მასწავლებელი ყვარელის სოფლის დიაკვანი იყო, ილიას გადმოცემით მან კარგად იცოდა ქართული“ („ყვარელის სოფლის“ თუ სოფელ ყვარლის?) მთელი აბზაცი უხეიროდაა შედგენილი. „ამ დროს“ თუ იმ დროინდელი, ან იმჟამინდელი“.

მთელი ეს აბზაცი უფრო ლაპიდარულად ასე ითქმოდა: 8 წლის ილიას, ყვარლელმა დიაკვანმა შეასწავლა წერაკითხვა (არ უნდა „ქართული“, ზედმეტია „სოფლის“, აბა რომელი ქალაქია ყვარელი?) არც ილიას გადმოცემითაა საჭირო, მას კარგად ცოდნია ქართული და სხვ. შემდეგ აბზაცში: „ილია სოფლის დიაკვნის ხელმძღვანელობით ორი წლის განმავლობაში სწავლობდა“.

კიდევ სოფლის დიაკვანი. ერთხელ გავიგეთ, რომ ის დიაკვანი ქალაქელი არ ყოფილა. ორი წლის მანძილზე ასწავლიდა დიაკვანი ილიას.

უფრო მოკლედაა აღნუსხული აკაკის ბიოგრაფიის ფაქტები, ხოლო ვაჟას ბიოგრაფია სულ ორიოდე აბზაცშია მოქცეული. ავტორების შემოქმედების ეტაპები ნახსენებიც არაა. აკაკის „თავგადასავალის“ ქვეშ ასეთი წარწერაა: „შემოკლებით“ უნდა იყოს „შემოკლებულად“ ან შეკვეცილად.

საკითხი ქართული ენის არა ქართულ სკოლებში სწავლებისა და ქართულის საათების გადიდებისა ხელახლა დააყენა ამხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე.

„არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებასთან ერთად, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყურადღებას აქცევდა არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხს. ეს მეტად დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანაა. ქართული ენის ცოდნა არაქართველებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ქართულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობას გაუადვილებს. შესაძლებლობას მისცემს მათ საქართველოს ფარგლებში მიიღონ უმაღლესი ცოდნა“.

ეს დიდი ამოცანა პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული მოითხოვს მომეტებული ყურადღებით მოვეკიდეთ არაქართულ სკოლებისათვის შედგენილ სახელმძღვანელოებს.

ამ პასუხისმგებლობის ნასახიც არ მოიპოვება ალ. ღლონტისა და ბ. წულეისკირის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს (არაქართული სკოლებისათვის).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

---

*) რედაქცია ეთანხმება რა ავტორს ლიტერატურის სახელმძღვანელოების კრიტიკაში, ზოგიერთს მის მოსაზრებას არ იზიარებს.

ᲚᲮᲘᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

დაბლა სუფრაა გაშლილი ცვარში,
მაღლა მთვარე და ლურჯი ხავერდი.
თამადამ ჯიხვი შეაგდო ცაში
და შეემზადა საალავერდოდ.

თამადამ ჯიხვი შეაგდო ცაში,
ფრთიან ვარსკლავებს მისწვდა ყიჟინა
და ჩრდილოეთით, ლაინის ზღვაში
აენთო ხომლი ვერცხლის ქინქლილად.

ამაღამ სოფელს არ უნდა ძილი,
მხიარულება დგება ცერებზე:
შვების შემოქმედ ბიჭები ლხინით
ქება-დიდებას დაუმღერებენ.

შრომა და ლხინში ერთმანეთს ენდენ,
ხელი-ხელს მისცეს, ძმობა ინებეს,
შრომის ფერხულში ჩაბმულნი დღემდე
დღეს შრომას ლხინით აგვირგვინებენ.

დაჰკრეს დაირა და შუქი მთვარის
ცეკვავს სუფრაზე და ლხინს იქადის,
ლეკურს ცეკვავენ ვაჟი და ქალი,
კოლმეურნენი დამკვრელ ბრიგადის.

„თქვენი გამჩენის ჭირიმე, თქვენი",
ჩვენს სამშობლოში მკლავ გაშლილებო,
თქვენს ალტაცებას სიმღერა შვენის,
სტალინის სიბრძნით გამოზრდილებო!

მისით შრომა და ხალისი იშვა,
ის გზებს უნათებს ბნელსაც უკუნეთს,
მოდით, ბედნიერ ცხოვრების ნიშნად,
თქვენც სიმღერები დააგუგუნეთ!

გაჩნდეს ნიავი გრილი და სუფთა,
გაიშრიალოს გაშლილ მდელოზე,
და სიხარული უვლიდეს სუფრას
მზის და სტალინის სადღეგრძელოზე.

ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲛᲘᲡᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

წყნარად წამოდგა.. გაიბადრა მოლიბრო მთვარე,
შეაგდო ბნელში სხივების დაშნა;
უდაბნოს ცეცხლი წაეკიდათ წკრიალა თარებს..—
და ზღვამაც ოქროს ზოდები დაფშხვნა!
იშლება სივრცე...
ფრთებს იბერტყავს კასპიის ღამე,
ზღვის ნაპირებზე შუქდაყრილი კოშკები სხედან;
ბაქოს გარშემო ვარსკვლავები ყვავილებს რგავენ..
და წყალმავლების ხმაური ცხრება...
სანაპიროზე
ირანელი აშუღი მღერის,
მღერის და დგება ტრამალების მხარგაშლილობა;
მნათობის თვალებს ეპარება მარჯანის ფერი,
თითქოს ბგერებმა სტყორცნეს ჭრილობა,
თითქოს გამოხსნა
მოგონების დიდი კარები, —
და უდაბნოში მხრებდაჩეხილ ჭაბუკებს უმზერს,
თითქოს უნდოდეს: მაგრძნობინოს ციურ პწკარებით,
რა სატანჯველიც ედება გულ ზე...
მეც ჩამაფიქრებს
ოცდაექვსი კომისრის სისხლი,
მოთეთრო ქვიშა რომ დანამა აზიის მზისქვეშ;
დამკრავს ოცნება:
ბასრი ხმლების წკარუნი ისმის, —
და ცრემლი სწყდებათ სამხრეთისკენ მიმავალ ნისლებს...
და მერე ისევ
სისხლით სავსე მძიმე ზმანება
ჩავა, ჩაქრება მოლიპულ ზღვაში.
ვგრძნობ მწვავე ტკივილს, მაგრამ სევდა არ მეკარება —
და ვსინჯავ გმირულ სიმღერის ჰაშნიკს!..
ასჯერ მოვიდე,
მწამს, ასჯერვე შემძრავს ეს განცდა,
ფრთიანი ფიქრი გადუქროლებს შორეულ ტაშირს, —
და მათ გმირობას, უნუგეშო ცრემლების ნაცვლად,
შეჰხვდება ჩემი მღელვარე ტაშიც!..

ᲚᲘᲢᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ*

ივნისის დამლევს მწერალთა სასახლეში ჩატარდა ტფილისის ლიტწრეების ტრადიციული საქალაქო შეკრება. ამ შეკრებაზე ბევრი საგულისხმო საკითხი დაისვა და გადაწყდა, მაგრამ სულ არაფერი თქმულა იმ მთავარი საკითხის შესახებ, რომლის სწორ გადაწყვეტაზე, ეჭვს გარეშეა, დამოკიდებულია ჩვენი ლიტწრეების ნორმალური მუშაობა და ამ მუშაობის დადებითი შედეგები. ეს არის—ლიტწრეებში მუშაობის მეთოდიკის საკითხები. საჭიროა ეს საკითხი სათანადოდ და დროზე იქნას გარკვეული, რომ ლიტწრეების ყველა ხელმძღვანელისათვის ცხადი იყოს, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს მუშაობა ლიტწრეებში.

ჯერჯერობით ლიტწრეების მუშაობაში ჩვენ გვაქვს სხვადასხვაობა, რაც ხშირად არ გამომდინარეობს ლიტწრეების შემადგენლობის სხვადასხვაობისაგან. ამიტომაც ვფიქრობთ, გათვალისწინებულ უნდა იქნას, თუ რა ხასიათის წრეებში როგორ უნდა სწარმოებდეს მუშაობა.

უნდა გვახსოვდეს დებულება, რომ კარგია ის მეთოდი, რომელიც კარგ შედეგებს გვაძლევს. ამ მხრივ ტრაფარეტს ვერ შევქმნით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს არ შეიძლებოდეს ყველა ხელმძღვანელისათვის სავალდებულო ზოგადი მომენტების დასახვა. ასეთი მომენტების გათვალისწინება საქმის წარმატებისათვის აუცილებელია.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დასამუშავებელი მასალის გათვალისწინება. სხვანაირად რომ ვსთქვათ, საჭიროა გარკვეული პროგრამის შემუშავება ლიტწრეებისათვის. სამწუხაროდ, ასეთი პროგრამა დღემდე არა გვაქვს. ჩვენ ვიცით, რომ მასობრივი სექტორი შეეცადა ასეთი პროგრამის შემუშავებას, მაგრამ პროგრამა მაინც არ გამომუშავდა, და ამის შედეგად საქალაქო შეკრებაზე გვქონდა ის, ერთის შეხედვით, გარეგანი სხვადასხვაობა, რომელიც სრულებით არ გამომდინარეობს წრის წევრების სხვადასხვა შემადგენლობისაგან. გამოირკვა, რომ ერთ წრეში დაუმუშავებიათ ძველი ელინი კლასიკოსის ნაწერები, კოლხიდის მასალებთან აქვს კავშირიო, ხოლო მეორე წრეში მთავარი ყურადღება თანამედროვე მწერლობისათვის მიუქცევიათ, მესამე წრეში კი მთავარ სამუშაოდ გაუხდიათ გასული და მიმდინარე წლების საიუბ იო თარიღებთან დაკავშირებული მასალები.

გარდა პროგრამული მასალებისა, მეთოდიკის გარკვევისათვის მნიშვნელოვანია საკითხი ლიტწრის ხასიათის შესახებ. ეს ხასიათი დამოკიდებულია ლიტწრის შემადგენლობაზე. ამ მხრივ ჩვენი ლიტწრეები იყოფა სამს მთავარ ჯგუფად. ესენი არიან: 1) შემოქმედებითი ლიტწრეები, 2) მკითხველთა ლიტწრეები, 3) შერეული ხასიათის ლიტწრეები. შემოქმედებითი ხასიათის ლიტწრეებში მუშაობენ მწერლები, უმთავრესად დამწყები მწერლები. ცხადია, მუშაობის მეთოდი აქ სხვანაირი უნდა იყოს, ვიდრე სხვა წრეებში. მკითხველთა ლიტწრეებში მუშაობა კიდევ სხვა მეთოდს მოითხოვს. თავისებური უნდა იყოს შერეული ხასიათის ლიტწრეებში მუშაობაც.

ამ გარემოებათა გათვალისწინების შემდეგ გადავიდეთ თვით მეთოდზე. უპირველეს ყოვლისა, ყველა წრეში უნდა უარყოფილ იქნას ლექციების მეთოდი, გაკვეთილების მეთოდი, საერთოდ, ის, რაც მოგვაგონებს მუშაობას გაკვეთილზე, აუდიტორიაში. მუშაობის ცენტრი ხელმძღვანელმა წევრებზე უნდა გადაიტანოს და მუშაობას უნდა მისცეს მასობრივი ხასიათი. ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს, ის კონსულტანტია და არა ლექტორი, არა მასწავლებელი კლასში. ამისათვის კი საჭიროა ხელმძღვანელის მიერ ლექციების კითხვის მეთოდი შეიცვალოს თვით ლიტწრის წევრთა მოხსენების მეთოდით. ჩვენს სინამდვილეში ეს მეთოდი, ჩვენის აზრით, ყველა ტიპის ლიტწრეებისათვის ერთნაირად სასარგებლოა.

განსახკომის მოზრდილთა 1-ლ საშუალო სკოლასთან არსებული ლიტწრე (რომელსაც ამ სტრიქონების ავტორი ხელმძღვანელობს) მე-7 წელია ამ მეთოდით მუშაობს.

ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი პროგრამა, ცხადია, მწერალთა კავშირის მასობრივ სექტორთან შეთანხმებული. ამ პროგრამის მასალებს ჩვენ ვყოფთ საკითხებად და ვიმუშავებთ კალენდარულ გეგმას, რომელშიაც აღვნიშნავთ დღეებს და მომხსენებელთა გვარებს. კალენდარული გეგმა ჩვეულებრივად სდგება ერთი თვისთვის რომ იგი უფრო რეალური იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო შეიქნეს გეგმაში მომხსენებელთა გვარების შეცვლა, თვით საკითხის გადატან-გადმოტანა და სხვა. ამნაირად, ყოველთვის უკანასკნელ მეცადინეობაზე სდგება კალენდარული გეგმა შემდეგი თვისათვის.

ცხადია, ამ გეგმას ლიტწრის ყველა წევრი უნდა იცნობდეს, რათა თვითონაც დაამზადოს ამა თუ იმ ვადისათვის დასამუშავებლად გათვალისწინებული მასალა. წინააღმდეგ შემთხვევაში მეცადინეობას ეკარგება ის მთავარი, რაც მას უნდა ახასიათებდეს, — მასობრიობა წევრთა საყოველთაო მონაწილეობა. ლიტწრის წევრები ყოველ ღონეს მიმართავენ, რომ შეიძინონ სათანადო ლიტერატურა, ჰქონდეთ გეგმა, ჩანაწერები, შენიშვნები და სხვ.

აი მოხსენებაც დაიწყო, ვთქვათ, „ვეფხის-ტყაოსნის" ავტორის ვინაობის შესახებ (ეს საკითხი, რასაკვირველია, ისევე, როგორც სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი და არ უნდა დაერთოს ხელოვნურად სხვა საკითხებს). მომხსენებელი დაწვრილებით ეხება მეცნიერთა შეხედულებებს ამ საკითხზე, მოჰყავს შეხედულებანი აკად. მარისა, პროფ. კეკელიძისა, ინგოროყვასი და სხვათა. შემდეგ გადადის იმ მასალაზე, რომელსაც გვაწვდის თვით უკვდავი პოემა რუსთაველისა. რასაკვირველია, მომხსენებელს აქ მეტად მნიშვნელოვანი მასალა აქვს დასაძლევი და გასაშუქებელი. მან მთელი ეს მასალა უნდა გადაშალოს გასაგები, მარტივი ენით. მომხსენებლისათვის ეს დიდი მასალაა და შესაძლოა ამ საკითხის დაყოფა თანამომხსენებლებს შორის. ჩვენს წრეში ეს ხშირად ხდებოდა. ერთ საკითხზე ხშირად ორი და სამი მომხსენებელი გამოდიოდა.

როგორც წესი, მოხსენების შემდეგ იწყება შეკითხვები, შეკითხვებზე პასუხი და სიტყვები. ამ პირობებში, რასაკვირველია, ყველას საშუალება ეძლევა გამოიჩინოს თავისი ცოდნა, მისცეს შეკითხვა იმ საკითხის შესახებ, რომელიც არ იყო საკმაოდ გაშუქებული.

მხატვრული ნაწარმოების გაშუქებას დროსაც ასევე ვიქცევით. ავიღოთ ილიას „განდეგილი". მომხსენებელი არ ეხება ილიას პოეტურ შემოქმედებას საერთოდ, რადგან ეს ცალკე მოხსენების თემას წარმოადგენს. ის მხოლოდ „განდეგილს" გაარჩევს, მაგრამ აუცილებლად ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად დამახასიათებელია ილიასათვის „განდეგილში" დასმული პრობლემა და აგრეთვე ის პოეტური ხერხები, რომლებიც „განდეგილშია" გამოყენებული. უნდა გვახსოვდეს, რომ მომხსენებელმა უსათუოდ თემატიური საკითხი უნდა გააშუქოს და არ ილაპარაკოს საერთოდ ყველაფერზე და არსებითად არაფერზე. კერძოდ, თემატიური საკითხი: ილიას „განდეგილი" გულისხმობს: 1) მცირე შესავალს (ბიოგრაფიულ ცნობებს, „განდეგილის" დაწერის წელს და სხვ.), 2) „განდეგილის" შინაარსს, 3) პოემის იდეური მხარის გაშუქებას, 4) პოეტურ ხერხებს, რომლებიც გამოყენებულია პოემაში, 5) დასკვნას. დასკვნაში შეიძლება განმეორებულ იქნას მოკლედ, დებულებების სახით, მომხსენებლის შეხედულებანი „განდეგილზე", როგორც მხატვრულ ნაწარმოებზე.

აუცილებლად საჭიროა მოხსენების პროცესშივე მხატვრული ადგილების კითხვა. ეს ადგილები მომხსენებელმა წინასწარ უნდა აღნიშნოს და მოხსენების პროცესში გამოაცხადოს გვერდი და სტრიქონი, რომელსაც კითხულობს, რომ ლიტწრის ყველა წევრმა თვალყური ადევნონ მხატვრული ადგილების კითხვას. ამ მომენტს აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს შეეხება აგრეთვე მხატვრულ პროზასაც. პროზაული ნაწარმოების შინაარსის გადმოცემის დროს აუცილებლად საჭიროა მხატვრული ადგილების წაკითხვა.

იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი დგას ლიტერატურულ გავლენათა შესახებ, მომხსენებელი უნდა ამ საკითხსაც შეეხოს და მასზე გამოსთქვას თავისი აზრი. მნიშვნელოვანი მომენტი იქნება აგრეთვე ლიტერატურული პარალელების მოყვანა.

განსახკომის მოზრდილთა I სკოლასთან არსებული ლიტწრე შერეული ხასიათის წრეა. მთავარი მუშაობა იქ მკითხველებთან სწარმოებს, მაგრამ არსებობდა და ახლაც არსებობს აგრეთვე შემოქმედებითი ბირთვი, ახალგაზრდა დამწყები მწერლების წრე.

ყოველი მეცადინეობის მეორე ნაწილი, არა ნაკლებ საინტერესო და სახალისო, ვიდრე პირველი ნაწილია შეადგენს შემოქმედებითი ნიმუშების განხილვა. ჩვეულებრივად ხელმძღვანელი წინასწარ ეცნობა ახალგაზრდა ავტორთა მასალებს, მიუთითებს ამ ავტორებს შეცდომებზე, გაასწორებინებს და შემდეგ დანიშნავს დღეს, როდესაც მასალა ამა თუ იმ ავტორმა ლიტწრის მეცადინეობაზე უნდა წაიკითხოს. ლიტწრის წევრები მოისმენენ მასალის კითხვას, გამოსთქვამენ თავიანთ აზრს მასალის მხატვრულ ღირებულებაზე, მის იდეურ მხარეზე, მიუთითებენ ავტორს შეცდომებზე და, როდესაც ეს საჭიროა, მეორედ მოისმენენ უკვე მითითებების საფუძვლებზე ავტორის მიერ შესწორებულ მასალას.

ასე ტარდება შერეული ხასიათის ლიტწრის ტიპიური მეცადინეობა.

რასაკვირველია, იმ ლიტწრეებში, სადაც შემოქმედებითი ბირთვი არ არის, ზემოაღნიშნული ტიპიური მეცადინეობის მეორე ნაწილი არ ტარდება. ესევე უნდა ითქვას წმინდა შემოქმედებითი ლიტწრეების შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთს წრეებში ცენტრალური საკითხი ლიტწრის წევრების შემოქმედებაა და მთავარი ყურადღება ავტორთა ნაწერების განხილვას უნდა მიექცეს. ასეთია მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტწრე, ასეთივე იქნება მწერალთა კავშირთან განზრახული ლიტწრე და სხვ.

უნდა გვახსოვდეს, როგორც წესი, რომ ყველა ტიპის ლიტწრეების სამეცადინო პროგრამაში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს პოეტიკის საკითხებს. რასაკვირველია, წმინდა შემოქმედებითი ხასიათის წრეში ეს მთავარი პრაქტიკული საკითხი იქნება. შედარებით ნაკლები ადგილი დაეთმობა მას მკითხველთა წრეების მეცადინეობაში.

მეტად მავნებელია და მიზანს ვერ აღწევს იმპროვიზირებული მოხსენებები. ასეთი მოხსენება ეწყობა მაშინ, როცა ნამდვილი მომხსენებელი არ მოვა. რათა წრის მორიგი მეცადინეობა არ ჩაიშალოს, ასეთ შემთხვევაში (თუმცა, რასაკვირველია, იშვიათად) მოხსენებას განსაზღვრულ თემაზე აკეთებს ლიტწრის სხვა წევრი. ცხადია, ეს ვერ მოგვცემს სათანადო ნაყოფს. ამიტომაც საჭიროა წინასწარ გვქონდეს გათვალისწინებული არა მარტო მომხსენებელი, არამედ თანამომხსენებელიც, რომელიც საჭიროების დროს ადვილად შესცვლის მომხსენებელს. ამგვარად წრის მორიგს მეცადინეობას შემთხვევითი ხასიათი არ მიეცემა. ყველა ამისათვის, ვიმეორებ, საჭიროა მასობრივი სექტორის მიერ გარკვეული სამუშაო პროგრამისა და მეთოდურ ღონისძიებათა წინასწარ გამომუშავება და ლიტწრეებისათვის მიწოდება.

ᲘᲐᲡᲐᲛᲐᲜᲘ

---

*) მსჯელობის წესით

ოქროს შემოდგომა — მხატ. ჰ. ოსტროუხოვი (ტრეტიაკოვის გალერეის გამოფენიდან)

ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ

შენ, განახლებულ ქვეყნის შევარდენს,
მოგყვა ბელადის აზრი მართალი,
უდიადესს მზით ააფერადე
მხარე მწუხარე და ნაზამთრალი.

შენ აგვიყვავე დრო სიჩაუქის
შენ განაახლე ხმა ჩვენებური —
იმ ხმით ვიმღერით ქვეყნად ჭაბუკნი,
შენი მარჯვენით დამშვენებულნი!

ნეტავი ჩემი სიმღერა ტკბილი
დიად სამშობლოს შენზე ემღეროს,
რომ კოლმეურნეს ეთქვას სუფრულით
ჩემი შაირი შენს სადღეგრძელოთ!

მეთქვას ისეთი კარგი შაირი,
შაირი ხალხის ჰანგად გამხდარი,
ძმობის სიმღერა ნაირნაირი
ქართველი ხალხის ბაირაღტარის.

მეთქვას სიმღერა, როგორც შეგშვენის
განახლებული ქვეყნის შევარდენს,
რომ მოიტანე ძახილით შენით
დიდი ბელადის სიტყვა ჩვენამდე.

გვემღეროს მუდამ წრფელი და სწორი
შაირი, ხალხის ჰანგად გამხდარი,
შენახარ თერთმეტ დროშათა შორის
ერთ-ერთი დროშის ბაირაღტარი!

ᲢᲧᲕᲘᲐ

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ

დევს მაგიდაზე ტყვიების მასრა
ტყვია—წამლისგან უკვე დაცლილი,
სად გაჰქრა ტყვია, ფრონტზე ვინ დასცა,
კვლავ გეკითხებით ერთი ყმაწვილი.

სად არის ტყვია, ტყვია სად არის,
ვის გადაატყდა ელვა-მეხივით,
ვის გაუცივა თბილი ღადარი,
ვის გულმკერდზეა იგი შეხლილი?!

ერთი საფლავი იძლევა პასუხს,
ერთი საფლავის ქვის დაფა მარტო,
— ვერ გავექცევი სიკვდილის მარწუხს,
ჩამაქვესკნელეს, სიცოცხლეს ვნატრობ.

მეც ვსულდგმულობდი თქვენსავით ერთ დროს,
ალესილ ხიშტით მტარვალს ვებრძოლე,
ცხრაას თოთხმეტში გამგმირეს ძმებო,
აქ გამვლელს ყველას გებრალებოდე.

მე შენს სიბრალულს ვერ ვიშლი წამით
შენზე გასროლილ ტყვიებს ვაძაგებ,
კვდებოდი, იქნებ გწყუროდა წყალი
და წყლის დალევა არ დაგაცალეს.

ო, ძმობილებმა დაჭედეს მასრა,
შიგ ჩაადუღეს ტყვია-წამალი,
მტრებზე გამიზნულ ტყვიებმა დაგცა
კაცი ნათელი გზებით მავალი,

ომში წახველი როგორც ხიზანი,
ვერ გადაურჩი ყუმბარებს ტიალს,
როცა არ იცი ბრძოლის მიზანი,
მიმართულება ეცვლება ტყვიას.

გავერანებულ ფრონტზე დაგეცა
ჯალათის ტყვია ყრუ და ოხერი,
ცხრაასთოთხმეტის სასაკლაოდან
ჩაფერფლილ სახლში ფერფლად მოხველი.

მაგიდაზე დევს ახლაც ის მასრა
ტყვია—წამლისგან უკვე დაცლილი,
ვიცი ამ მასრის ტყვიებმა დაგცა
კაცი უბრალო, კაცი მარტივი.

დავტენოთ მასრა? დავტენით უცებ
და მოვედებით ფრონტებს ალივით,
გადავშლით კიდევ გმირობის ფურცლებს,
როცა ძას გვეტყვის დიდი სტალინი.

გვეტყვის დადექით, მტერს შეუტიეთ,
ხალხნო, ფრონტებზე, ხალხნო ამაღლდით,
მაშინ ავილებ ამ მასრის ტყვიებს
და შენს მკვლელების გულმკერდს დავახლი.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ვინც ზედმიწევნით იცნობს საფრანგეთის გამოჩენილ მწერლის ჰონორე ბალზაკის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მისთვის ნათელი იქნება, თუ რას ნიშნავს ახალგაზრდობა და სიჭაბუკე კაპიტალიზმის ბატონობის ეპოქაში. ლუკმა პურისთვის გამართულ სასტიკ ბრძოლაში ნადგურდებოდა ახალგაზრდა ადამიანის ენერგია, ნებისყოფა, კეთილშობილება, პატიოსნება... შიმშილი და გაჭირვება, ცრემლი და სისხლი, მუდმივი თანამგზავრი გახდა განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისა. კაპიტალიზმის სასტიკი ხელი ჰბოჭავდა და ჰბოჭავს მას.

უკანასკნელი წლების მანძილზე ფაშიზმმა ახალგაზრდობა, ისევე, როგორც მთელი ხალხი, გატანჯა გაუგონარი უბედურებით. „შრომის ბანაკები"—ეს ფაშისტური ყაზარმები—გარდაიქცნენ კაზემატებად ახალგაზრდა თაობისათვის. „შრომის ბანაკებში" ახალგაზრდებისაგან ფაშისტები ამზადებენ საზარბაზნე ხორცს. ეს არის მწარე, მეტად მწარე ხვედრი კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობისა.

ასეთსავე მდგომარეობაში იყო და არის ლიტერატურული ახალგაზრდობის ბედი კაპიტალისტურ მსოფლიოში. პარიზში, ლონდონში, ბერლინში, რომში—ამ ცდუნებათა ქალაქებში გარბოდა ლიტერატურული ახალგაზრდობა ბედის საძებნელად. ყოველი ლიტერატურული თაობა ფიქრობდა, რომ ეს დიდი ქალაქები მისთვის ემბაზად გადაიქცეოდნენ, მაგრამ ნამდვილად მათ სამარედ ხდებოდნენ. ლიტერატურული ახალგაზრდობა ხედავდა, რომ კაპიტალისტური არისტოკრატების სამეფოში წრფელი გრძნობა არ არსებობდა და ყოველი ბიწიერება იმალებოდა ოქროსა და აბრეშუმის ქვეშ. კაპიტალისტური საჟურნალო ატმოსფერა აზრსა ჰკლავს, გრძნობასა ჰყვნის. ამ ატმოსფეროში ვაჭრობენ გრძნობებით, კალმით და ყოველი ადამიანური ღირსებით. გაიხსენეთ ბალზაკის „დაღუპული ოცნება", ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი", ფეიხტვანგერის „განდევნა" და დარწმუნდებით, თუ რა მძიმე და საშინელი გზა უნდა გაევლო ახალგაზრდა ადამიანს, ვიდრე ის მწერლის სახელს მოიხვეჭდა.

ყოველივე ეს ჩვენ გავიხსენეთ მხოლოდ მაგალითისათვის, რათა კონტრასტის ძალით ნათელი გაგვეხადა სოციალიზმის ქვეყნის — ამ თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ქვეყნის—და კაპიტალისტური სამყაროს ლიტერატურული ახალგაზრდობის ხვედრი. თუ იქ ლიტერატურულ ახალგაზრდობას აცდენენ ცხოვრების გზიდან და ასწავლიან არ სწეროს სიმართლე, დაშორდეს რეალობას და ხალხს, ჩვენ დიდ სამშობლოში სტალინური მზრუნველობის ქვეშ აღზრდილი მწერლების შემოქმედების შეფასების დროს ერთად-ერთი კრიტერიუმი არის მისი კავშირი ხალხთან. ამავე დროს ჩვენი მწერლები ვალდებულნი არიან დაიცვან სიმართლე და ბუნებრიობა რეალური ცხოვრების და ადამიანის სულიერი სამყაროს მხატვრული გამოსახვის დროს. „საბჭოთა მწერალი — გვასწავლის ამხანაგი ლავრენტი ბერია, — უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭოთა სამშობლო, ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. იგი უნდა იყოს გულწრფელი და მართლის მთქმელი თავის ნაწარმოებებში, იგი უნდა განამტკიცებდეს, აფართოებდეს თავის კავშირურთიერთობას მშრომელთა ფართო ფენებთან".

როგორ ასრულებს ამ დიდსა და ჭეშმარიტ ვალდებულებას ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა? ამ რამდენიმე ხნის წინად „ფედერაციამ" გამოსცა ახალგაზრდა მწერლების კრებული.

კრებულში წარმოდგენილი ავტორების ნაწარმოებთა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ, მთელი ლიტერატურული ფრონტის ზრდასთან ერთად, გაიზარდა იდეურად და განმტკიცდა მხატვრულად ქართული ლიტერატურული ახალგაზრდობა. ამ წერილში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა მწერლის მხატვრული სახის გამორკვევა გვაინტერესებს. ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს სხვები არ იძლეოდნენ სათანადო მასალას განხილვისათვის.

სულ რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე **შალვა ამისულაშვილი.** ამისულაშვილმა სადებიუტო გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. პოეტმა, როგორც საერთოდ ახალგაზრდა ჰასაკს სჩვევია, სამწერლო თემად აიღო თავისი სამშობლო კუთხე—კახეთი,—ეს ერთი უმშვენიერესი მხარე ჩვენი ქვეყნისა. ასეთი არჩევანი პრინციპულად სწორია ახალგაზრდა მწერლისათვის, რადგან ყოველი ნაცნობი და უშუალოდ განცდილი თემატიური მასალა მეტ შესაძლებლობას იძლევა პოეტური ამღერებისათვის. მაგრამ ცუდია, როდესაც მწერალი მხოლოდ კუთხური თემატიკით იფარგლება ჩვენს პირობებში. ამ გარემოებაში შემოქმედებითი გაქანების ჰორიზონტი ვიწრო ხდება და პოეტური ენერგია ადვილად იშრიტება. რა თქმა უნდა, ეს არ ითქმის ამისულაშვილზე. ახალგაზრდა პოეტისათვის კახეთი ფონია პოეტური ამღერებისათვის. ამ სიმღერებში ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლექსს „შეხვედრა ალაზანთან". როგორ შეიძლება ადამიანი მით უფრო პოეტი, შეხვდეს ალაზანს და არ გაიხსენოს დიდი მგოსანი ილია ჭავჭავაძე. ამ წყნარსა და გაბედულ მდინარეს აბარია ილიას თვალთაგან გამოწურული ცრემლი, რომელმაც ათქმევინა „შენც გამოცვლილხარ ალაზანო — მუხაც გამხმარაო". ყოველივე ამას დიდი სიხარულის გრძნობით იხსენიებს ახალგაზრდა პოეტი ამისულაშვილი და კონტრასტების გზით ჰქმნის საწინააღმდეგო ემოციას გამხმარ მუხაზე:

„ალაზნის მუხავ, დამერწმუნე,
ალარ გახმები,
სამარადჟამოდ დაიმკვიდრებ ეშხიან ტოტებს,
იქნები მუდამ რაინდობის გამომსახველი
და ვერაფერი დაგანაფოტებს.
ამ გვარ სიმღერას ვერ მოისმენთ,
ძმებო, ამიერ:
„წამერთო ყველა და წავიდა ბედიც მლიმარი".
დღეს ამ ველებში ქამგადასულ
გლოვის მაგიერ
ფოლადის ფრთებით დანავარდობს ლექსის გრიგალი.
დამძიმდა ღამე... მოივერცხლა
კლდეების წვერა,
ლაჟვარდებს ხევენ შუბოვანი შამილის მთები,
გომბორის მთაზე რძინარევი ლაჟვარდი წვება
და მდინარეზე ადუღებულ სპილენძის ფერი".

საკმაოდ ემოციურია ლექსი „რთველი". აქა ჩანს ახალგაზრდა ადამიანის პოეტური ძალა. ხუთსტაეპიან ლექსში მან გვიჩვენა მახვილი თვალი მოვლენებისა, საგნებისა და ადამიანის მხატვრული ასახვის დროს. ეს დიდი ნიშანწყალია პოეტისათვის საერთოდ და მით უფრო ახალგაზრდა პოეტისათვის. ყველა მწერალს როდი აქვს საგნისა და მოვლენის პოეტური ხედვის უნარი. ნიჭიერი შემოქმედი ძალა იმაშია, რომ ერთხელ ან რამდენჯერმე ნახულ საგანსა და მოვლენას ისეთი თვალით და კუთხით შეგახედებს, რომელიც ადამიანის ჩვეულებრივი თვალისათვის შეუმჩნეველია, და გაგრძნობინებს ისეთი მხატვრული ძალით, რომ სამუდამოდ ჩაგრჩება ხსოვნაში. ვისაც ძველ კახეთში უმოგზაურია, მის ყურადღებას იპყრობდა კარგად მოვლილი ტყრუშული ღობეები, რომლებიც შემოვლებული ჰქონდა ვენახებს. ყოველი ღობე სამანივით აშორებდა ერთმანეთს მეზობელთა ზვრებს. ღობე ცივი კედელივით დარაჯად ედგა საკუთრების გრძნობას. ახლა სულ სხვაა:

„დაურღვევიათ მზეჭაბუკებს
ტყრუშული ღობე,
ნამიჯნარევზე მეგობრული ყიჟინა
გრგვინავს.
გოგო-ბიჭები მოზღვავებულ
ხამეს გრძნობენ
და შეჰხარიან მოფრენილ
დილას".

საერთო კოლექტიური სიხარული, საერთო გრძნობა ახალ ეშხსა და სილამაზეს აძლევს რთველს, იგი ნამდვილ სახალხო დღესასწაულად, ყველას ბედნიერების წყაროდ იქცა. ამისულაშვილის ლექსებიდან შესანიშნავია „წიწამურის გზაზე" და „მებორნე". ამისულაშვილის, როგორც პოეტის, დამახასიათებელ თვისებად ითვლება ლირიული გულწრფელობა, ამღერების კილო, სიტყვის ეკონომიის ხარჯზე წინადადების დატვირთვა ემოციებით, ესთეტიურად და აზრობრივად გამოკვეთილი თქმები, შინაგანი პოეტური ღელვა, რომელიც მას აიძულებს კრიტიკულად მოექცეს თვითოეულ ფრაზას, და, რაც მთავარია, იდეური შეგნება იმისა, რომ იგი მომღერალია სტალინური ეპოქისა, ჩვენი ხალხისა. ეს შეგნება ავალებს მას — იყოს არა ვიწრო კამერული, უსაგნო, უიდეო პეიზაჟების მომღერალი, არამედ დიდი სოციალური ვნებების, მაღალი მიზნებისა, იდეებისა და ფართო გაქანების პოეტი.

უკანასკნელად დაწერილ ლექსებს ამისულაშვილი ჭარბად ტვირთავს პეიზაჟებით. ეს საშიშროებას უქმნის ახალგაზრდა პოეტს. პეიზაჟი ცუდი როდია, პირიქით, მისი ზომიერი გამოყენება თავისებურ კოლორიტს აძლევს მხატვრულ შემოქმედებას, მაგრამ გატაცება პეიზაჟით, მისი თვითმიზნად დასახვა პოეტს ხელოვნურ არტახებში აქცევს და ბოჭავს მის თავისუფალ გაქანებას. პეიზაჟი უნდა ეხმარებოდეს მკითხველს საგნისა და მოვლენის შემეცნებაში, მის სწორად გაგებაში. სამწუხაროდ, ზოგიერთი პოეტის პეიზაჟი ისედაც ბუნდოვან აზრს სიბნელეში ახვევს და რაღაც დახრჩნილ უაზრო, უშინაარსო სურათს ჰქმნის. ამგვარ პოეტებს შესწევთ გამბედაობა — რაღაც სიახლედ მოგვაჩვენონ თავიანთი ნაცოდვილარი და იტრაბახონ ასეთი არა პოეტური უცნაურობით.

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის შესრულებასთან დაკავშირებით ბევრი კარგი ლექსი დაიწერა დიდ ილიაზე. ამ ლექსებიდან უსათუოდ გამოირჩევა — გიორგი კალანდაძის ლექსი „თერგდალეული".

ამ ლექსში პოეტური ალღოთი მონახულია საკითხის საკვანძო პუნქტი და დაჭერილია მამოძრავებელი ძარღვი ილიას პიროვნებისა და შემოქმედებისა. ყველაფერი ეს გატარებულია ისეთ მხატვრულ პრიზმაში, რომელიც მაქსიმალურ ეფექტს ახდენს ჩვენზე. ამ ლექსს ეპიგრამად წამძღვარებული აქვს ილიას სიტყვები „მგზავრის წერილებიდან": „თერგის ხიდზე ისე გამოვიარე, რომ არამც თუ მისი წყალი დამელიოს, თვალიც კი არ ამიხილებია. მეშინოდა, რომ თერგდალეული არ დამწამონ მეთქი". ეს სტრიქონები სარკაზმია იმათ მიმართ, ვინც თერგდალეულთა თაობაში ხედავდა ერისათვის, კულტურისათვის საშიშ ადამიანებს. კალანდაძე ამ სარკაზმს იყენებს, როგორც პრინციპს.

„თუმცა სიმართლის შენ დარგე
ნერგი,
ვერ გერწმუნები ერთში გენიოსს:
შენ გამოგვლოს მრგვინავი
თერგი
და თერგის წყალი არ დაგელიოს.
მითხარ. მაშ მისი ამბოხი სული,
ლავამის გლეჯა და ხმა მქუხარი
განახლებისას ვით შერთე
სურვილს
და შენს ქვეყანას როგორ
უთხარი?
ან ვით მოგრიხე და მოიყოლე
ორბელიანის კალმით ქებული,
ვით ჩაუყენე ძარღვში
სტრიქონებს
ვეფხვი დარიალს დაჯახებული".

სუბიექტიური განცდის მღელვარება და მასალის პლასტიური აღბეჭდვა კალანდაძის ლექსებს პოეტურ ელვარებას აძლევს. მისი მეორე ლექსი „შადრევანი პუშკინის ბაღში" კიდევ ერთი ნიმუშია გულწრფელი პოეტური განცდისა. აქ და გ. კალანდაძის შემოქმედებაში ვერ შეხვდებით ვერც ერთ ჩავარდნილ სტრიქონს, ხელოვნურ, უაზრო ფრაზას და შინაარსით დაცლილ სახეს. ყოველი სიტყვა ფაქიზი პოეტური გემოვნებითაა ნახმარი. სინათლე და გრძნობიერება ამშვენებს მთელ ლექსს. გიორგი კალანდაძე გრძნობისა და განცდის პოეტია. თუ მას სურს დიდხანს შეინარჩუნოს ეს თვისება, მან უსათუოდ უნდა გააფართოვოს თავისი პოეტური ჰორიზონტი იდეურად. რაც შეიძლება მეტი ენერგიით უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, რომ ახალგაზრდობის კარგი ლექსები არ დააჭკნოს წელთა ქროლვამ.

სამი წლის მანძილზე, ჩვენს თვალწინ გაიზარდა პირველი ხევსური პოეტი **გაბრიელ ჯაბუშანური.** მართალია, მისი ლიტერატურული პროდუქცია ჯერ კიდევ მცირეა, მაგრამ აქ მაინც ჩანს ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი ძალა. გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტური ხმა მკვეთრია და თავისებური. ის არ ეკუთვნის ახალგაზრდა მთიელ პოეტების რიცხვს, რომელნიც გარეგანი ეფექტით ფარავენ შინაგან სიცარიელეს. მუდმივი გამაყრუებელი და მომაბეზრებელი ფრაზებით ცდილობენ ისინი ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მიერ გაკაფული შემოქმედების დიდ შარაგზაზე დადგომას. მაგრამ ახალგაზრდობის ამ ნაწილს დავიწყებია, რომ ალექსანდრე ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას ჰქონდათ საკუთარი პოეტური სამყარო და ხალხის სულიერი მოძრაობის გაგების უნარი. სამწუხაროდ, ეს აკლია ზოგიერთ ახალგაზრდა მთიელ პოეტს და შინაგანი პოეტური კულტურის უქონლობის გამო შინაარს დაცლილი ფრაზებით უმასპინძლდება მკითხველ საზოგადოებას. როგორც განვაცხადეთ, ამ გზას არ მისდევს გაბრიელ ჯაბუშანური. იგი გარეგანი ეფექტის პოეტი არ არის. როცა მის ლექსებს ვკითხულობთ, ყოველთვის ვგრძნობთ პოეტის სულიერ სიძლიერეს. კიდევ ერთი დადებითი თვისება აქვს ამ ახალგაზრდა პოეტს, იგი ინტენსიური ენერგიით მუშაობს საკუთარი პოეტური კულტურის ამაღლებისათვის. ასეთი შრომისმოყვარეობა მისი გამარჯვების საწინდარია.

ახალგაზრდა პოეტმა **რევაზ მარგიანმა** თავისი პირველი ლექსითვე („მირანგულა") მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. შემდეგ მან გამოაქვეყნა მთელი ციკლი ლექსებისა და ქართველ ლიტერატურულ ახალგაზრდობაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიჭირა. თუ შალვა ამისულაშვილის და გ. კალანდაძის შემოქმედებაში ლირიკული ელემენტი სჭარბობს პოეზიის სხვა ელემენტებს, სამაგიეროდ რევაზ მარგიანის, ისევე, როგორც ჯაბუშანურის შემოქმედებაში ეპიური ელემენტი თამაშობს მთავარ როლს. მარგიანს აქვს უნარი ეპიური თხრობისა, ლიტერატურული სახის ნათელი გამოკვეთისა, ლექსების ბალადური ფორმა მარგიანის შემოქმედებას ვაჟკაცურ იერს აძლევს. მისი პოეტური სიტყვა მოქნილია და ძლიერი. როცა დაკარგულ მირანგულაზე მარგიანის ლექსს ვკითხულობთ, აქ გვესმის მთელი სვანეთის გლოვის ხმა, რომელიც გამოძახილი იყო ძველი დუხჭირი ცხოვრებისა.

სიხარულის გრძნობით უნდა აღვნიშნოთ **მირზა გელოვანის** გამოსვლა პოეზიის ასპარეზზე. მისი სახით ქართულ მწერლობას ეზრდება ნიჭიერი და მხატვრული შესაძლებლობის მქონე პოეტი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მომავლის საკითხია და დამოკიდებულია თვითონ გელოვანზე. მაგრამ ის, რაც მან მოგვცა, უფლებას გვაძლევს ვთქვათ მის კარგ მომავალზე. მირზა გელოვანის ლექსები — „ხევსურული" და „ცხენის ტირილი" პოეტური კულტურის ბრწყინვალე ნიმუშებია. გელოვანს უფრო მეტის სიმძაფრით დასჭირდება საკუთარ თავზე გამუდმებული მუშაობა, თუ მას სურს, რომ გაბედულად დასძლიოს პოეტური წინსვლის სიძნელეები.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობას შეემატა საუკეთესო ახალგაზრდა კადრი — ქალი მწერლების **მარიკა მიქელაძის, მაყვალა მრევლიშვილის, მარიკა ბარათაშვილისა** და სხვათა სახით.

მიუხედავათ ამ მიღწევებისა, — ლიტერატურული ახალგაზრდობა მხოლოდ პირველ ნაბიჯს სდგამს შემოქმედების ასპარეზზე; ახალგაზრდა მწერლები არ უნდა გააყოყოჩოს პირველმა პოეტურმა სიხარულმა; ისინი ვალდებული არიან გულდინჯად შეისწავლონ როგორც კლასიკური მემკვიდრეობა, ისე მთელი საბჭოთა ლიტერატურის უფროსი თაობის გამოცდილება, რომ მომავალში მეტ იდეურ და მხატვრულ სრულყოფას მიაღწიონ.

ლიტერატურული ახალგაზრდობა, ისევე, როგორც საერთოდ საბჭოთა ახალგაზრდობა, იზრდება სტალინური მზრუნველობის ქვეშ. იგი ბედნიერი თაობაა ყველა თაობათა შორის — თავისი დიდი აწმყოთი და უფრო დიდი მომავლით.

„რუსთაველის ეპოქის ძეგლები“

სსრკ სამეცნიერო აკადემიის გამომცემლობა. ლენინგრადი, 1938 წ.

რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის მოძმე ერებმა მრავალი მნიშვნელოვანი წერილი, გამოკვლევები და მთელი კრებულებიც კი უძღვნეს უდიდესი ქართველი პოეტის პიროვნებისა და მისი ეპოქის გამაშუქებელ საკითხებს. ცალკე წიგნებსა და კრებულებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ერმიტაჟის მიერ ლენინგრადში გამოცემული კრებული „რუსთაველის ეპოქის ძეგლები“. ეს წიგნი ძვირფასი საჩუქარია, მიძღვნილი რუსული მეცნიერებისაგან მოძმე ქართველი ხალხისადმი.

კრებულის რედაქტორია ცნობილი ორიენტალისტი, აკადემიკოსი ი. ორბელი. წიგნი იხსნება ორბელის შესავალი წერილით, რომელიც მრავალ საგულისხმო შეხედულებას შეიცავს. ი. ორბელს კარგად აქვს გათვალისწინებული დიდი პასუხისმგებლობა რუსთაველისა და მისი ეპოქის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში. აკადემიკოსი სრულიად მართებულად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გასაგებად აუცილებელია მე-12 საუკუნის ქართული და აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურების მთელი ანსამბლის კარგი ცოდნა. ი. ორბელი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ დროინდელი ქართული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობას, მრავალფეროვნებას იმ კულტურისას, რომელშიაც წარმოიშვა რუსთაველის ქმნილება. კრებულის რედაქტორი სწორ მეთოდოლოგიურ გზას ადგია. იგი სწერს:

„რუსთაველი შვილია ხალხისა, რომლის სახელმწიფოებრივობა და კულტურა უმაღლეს ძლიერებას იყო მიღწეული, ხალხისა, რომელიც დამწერლობის შვიდას წელს ითვლიდა, რომელსაც ჰქონდა ორიგინალური და თარგმნილი ფილოსოფიური, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო-ისტორიული, მხატვრული ლიტერატურის ასეული ტომები, ხალხისა, რომელსაც რუსთაველამდე საუკუნით ადრე ჰქონდა შექმნილი უმაღლესი ძეგლები არქიტექტურისა, ჰყავდა გამოჩენილი მხატვრები“.

აკად. ორბელი სავსებით მართებულად მსჯელობს, როცა აყენებს საკითხს ქართული კულტურის ინდივიდუალური გზების შესწავლის შესახებ. ხამართლიანია მისი შენიშვნა:

„რატომ უნდა წასულიყო ის (რუსთაველი) ასე შორს (იგულ. ბიზანტია,—რედ.) ბერძნული ენის შესასწავლად, როდესაც თვითონ საქართველოში იყვნენ ასობით ადამიანები, რომელთაც იცოდნენ ეს ენა? რატომ უნდა ესწავლა მას ბერძნული ენა, თუ პლატონისა და ნეოპლატონიკოსების წაკითხვა შეეძლო ქართულად ისევე, როგორც მის წინაპრებს?“

და სამართლიანად დაასკვნის, რომ

„დროა თავი დავანებოთ საქართველოს აღიარებას ბიზანტიის მონად!“

ამ შესავალ წერილში აკად. ორბელი სწორად აღნიშნავს რუსთაველის პოემის, როგორც მსოფლიო განძის, მნიშვნელობას დიდი საბჭოთა კავშირის კულტურისათვის, თვითონ პოემის იდეოლოგიურ და მხატვრულ ღირსებებს და სხვ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სადაო დებულებას და ზოგჯერ წერილის თემასთან არა უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებისადმი გამოდევნებას (მაგ., ვანის გათხრების შესახებ), ორბელის წერილი სავსებით დროულად აყენებს მთელ რიგ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ავტორის შეხედულებანი აკად. ნიკო მარის დამსახურებაზე რუსთაველოლოგიაში. ორბელი სამართლიანად მიუთითებს ამ მეცნიერის იშვიათ ფილოლოგიურ ალღოზე და ამ განსაცვიფრებელ ერუდიციაზე, რომელიც ასე შველოდა რუსთაველის პოემის პირველ სერიოზულ მკვლევარს შესანიშნავად გაერკვია „ვეფხის-ტყაოსნის“ მთელი რიგი ისტორიული, კულტურული და ტექსტოლოგიური საკითხები. ნიკო მარი, რომელიც თავის თავში აერთიანებდა უდიდეს „ლინგვისტ-ფილოლოგს, არქეოლოგს, ლიტერატურათმცოდნესა და ისტორიკოსს“, ორბელის მართებული შენიშვნით, კიდევ დიდხანს დარჩება რუსთაველოლოგებისათვის მისაბაძ მაგალითად.

„შესავალის“ გარდა, ი. ორბელს ამ კრებულში ეკუთვნის საყურადღებო წერილი — „რუსთველის გმირები და მისი ქვეშევრდომნი“ (გვ. 138-158) და სპეციალური ხასიათის გამოკვლევები, რომელთაც აქ ვრცლად ვერ შევეხებით. ამ წერილებში ავტორი ეხება უმთავრესად მე-12 საუკუნის მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომლებიც კარგად ახასიათებენ რუსთველის ეპოქას ამ დარგში, საერთოდ აღმოსავლეთის მასშტაბით.

ასეთი წერილების ციკლს ეკუთვნის სხვა მეცნიერ თანამშრომელთა (დიაკონოვის, იაკუბოვსკის, გიუზალიანის, კესატისა და ბანკის) წერილები. უაღრესად საინტერესოა **ა. ბიკოვის** გამოკვლევა **„ქართული ფული მე-12-13 საუკუნეებისა“** (გვ. 76-90), რომელშიაც ავტორი ვრცლად აღწერს გიორგი მესამის, თამარისა და გიორგი ლაშის დროს მოჭრილ ფულს. საინტერესოა აგრეთვე **ა. ბანკის** წერილი **„კერამიკა დმანისიდან და ხერსონიდან“** (გვ. 179-184).

ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის წერილებიდან აღსანიშნავია **ა. იაკუბოვსკის** სტატია **„კავკასია და ირანი რუსთაველის ეპოქაში“** და ლენინგრადელი ქართველოლოგის **კ. დონდუას** წერილი **„ამირან-დარეჯანიანზე“** (გვ. 91-111), რომლის უმეტესი ნაწილიც უჭირავს ამ ნაწარმოების ნაწყვეტთა რუსულ თარგმანს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე **ა. ნ. ბოლდირევის** ნარკვევი **„ორი შირვანელი პოეტი, ნიზამი და ხაყანი“** (გვ. 111-138). ავტორი ნიზამის „ხოსროვ და შირინის“ ერთ ნაწყვეტში ნახულობს თამარის სახელისა და ზოგიერთი მისი ბიოგრაფიული დეტალის გამოძახილს.

კრებულში, რასაკვირველია, ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს თამარის დღემდე უცნობი ისტორიკოსის ეზოს მოძღვარ ბასილის ქრონიკას — **„ცხოვრება მეფეთა მეფის თამარისა“**. ეს შესანიშნავი ძეგლი ქართულად ჯერ კიდევ გამოუცემელია. აღმოაჩინა იგი პროფ. ივანე ჯავახიშვილმა, რომლის თავაზიანი ნებართვითაც გამოქვეყნდა ძეგლის თარგმანი რუსულად. ბასილის „ცხოვრება მეფეთა მეფის თამარისა“ განსხვავდება თამარის დღემდე ცნობილი ორი ისტორიკოსის მატიანეებისაგან არა მარტო ისტორიული ფაქტების ინტერპრეტაციის მხრით, არამედ, როგორც ამას „ცხოვრების“ მთარგმნელი აღნიშნავს, ამბავთა გადმოცემის მანერის მხრითაც: ბასილის მატიანეში თამარი უფრო ადამიანურ, ინტიმურ ხაზებშია აღწერილი, უფრო კარგად სჩანს სასახლის შინაგანი ცხოვრება. გარდა ამისა, თარგმანშიაც კარგად ატყობს მკითხველი, რომ ეს ისტორიკოსი უაღრესად ნიჭიერი მწერალია. „ცხოვრებაში“ მოკლედ, მაგრამ არაჩვეულებრივი პლასტიური სიზუსტით არის აღწერილი თამარის გარეგნობა. შესანიშნავია სცენა თამარისა და გიორგი რუსის გაყრისა. მაგალითისათვის კმარა თამარის სიტყვები, რომელსაც ის ეუბნება გიორგი რუსს გაყრის წინ:

„И я не в силах выпрямить тень кривого дерева, и не имея за собой вины, отряхаю и пыль, которая пристала ко мне через тебя“.

შედარება გიორგი რუსის მოღვაწეობისა „გადუნული ხის ჩრდილთან“, რომლის გასწორებაც შეუძლებელია, შეხარბებოდა სიტყვის ყველა დიდ ოსტატს.

ბასილის „ცხოვრების“ თარგმანი ლიტერატურულად აქვს შესრულებული ვ. დონდუას. თარგმანს წინ უძღვის მისივე პატარა, მაგრამ შინაარსიანი წინასიტყვაობა.

საერთოდ კრებული შედგენილია გემოვნებით და საქმისადმი დიდი სიყვარულით. ქართული საბჭოთა ლიტერატურული საზოგადოებრივობა ამ წიგნს განსაკუთრებული კმაყოფილებით შეხვდა.

მკითხველი

მურაბას ხარშავენ — მხატ. ე. მაკოვსკი (ტრეტიაკოვის გალერეის გამოფენიდან.)

დრამატიული მემკვიდრეობის ათვისების შესახებ*

კულტურის ფრონტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საპატიო ამოცანას წარმოადგენს ხელოვნების მემკვიდრეობის ათვისების საკითხი. ამ მხრივ დიდი მუშაობა სწარმოებს როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე საქართველოში.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ მხრივ უკვე ყველაფერი გაკეთებულია. ამ დარგშიაც, როგორც სხვა დარგში, აღმოჩნდნენ ხალხის შენიღბული მტრები, რომელნიც ხელს უშლიდნენ კულტურული მემკვიდრეობის ათვისებას, პრინციპის სწორ გაგებას და ამ პრინციპის განხორციელებას.

ეს ყალბი „სოციოლოგები“ ამწვავებდნენ ბრძოლას, კერძოდ, თეატრალური რეპერტუარის დარგშიც, საიდანაც მთელი რიგი დრამატიული ნაწარმოებები განდევნილ იქნა საბჭოთა თეატრების რეპერტუარიდან. მაგრამ აქაც, რევოლუციური სიფხიზლის და სოციალური ობიექტივობის საფუძველზე, ისინი სასტიკად დამარცხდნენ და საბჭოთა რეპერტუარში თანდათან აღდგენილ იქნენ მაღალი ღირსების დრამები და ოპერები. ამ მხრივ დიდ მოვლენას წარმოადგენს მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის რეპერტუარში ი. გლინკას ოპერის „ივან სუსანინის“ შეტანა (ძველი სათაური „მეფისათვის სიცოცხლე“), რომლის პრემიერა დანიშნულია მიმდინარე წლის შემოდგომაზე. ამნაირად, საბჭოთა მაყურებელს მიაწვდიან რუსული მუსიკის საუკეთესო ნიმუშს, ამასთან მაღალი პატრიოტიზმით აღსავსე სპექტაკლს, სადაც იგი დაინახავს, როგორ იბრძოდა საუკუნეების განმავლობაში დიდი რუსი ხალხი შემოსეული მტრების წინააღმდეგ.

ანალოგიით აქაც, საქართველოშიც, საჭიროა ამ თვალსაზრისით ძველი სათეატრო რეპერტუარის გადასინჯვა და გამორკვევა იმისი, თუ რა არის ამ რეპერტუარიდან მისაღები საბჭოთა საქართველოს დღევანდელი მაყურებლისათვის. საკითხის ამ ფარგლებში მოქცევისას ყოველ ჩვენგანს ასოციაციით პირველ რიგში წარმოუდგება ალ. სუმბათაშვილის ისტორიული დრამა „ღალატი“. მართალია, ეს პიესა ოფიციალურად არასოდეს არ ყოფილა აკრძალული საბჭოთა საქართველოს პირობებში, მაგრამ აი უკვე 15 წელზე მეტია, რაც ეს პიესა არ უნახავს ქართულ სცენას. ჩვენ კი გვგონია, რომ ამ სოციალ-ესთეტიური მოთხოვნილების მიხედვით, რომელსაც ამჟამად უყენებენ ლიტერატურულ ნაწარმოებს, სუმბათაშვილის „ღალატს“ ბევრი ღირსება აქვს.

რა არის ამ პიესაში ყველაზე უფრო მიმზიდველი და ძვირფასი საბჭოთა მაყურებლისათვის? პირველი ის, რომ ეს პიესა აგებულია სამშობლოსადმი, ქართველი ხალხისადმი უანგარო სიყვარულზე, რაც ასე დამახასიათებელია ყოველი საბჭოთა მოქალაქისათვის, რომელიც მუდამ მზად არის შესწიროს თავისი სიცოცხლე სოციალისტური მშენებლობით განახლებულ სამშობლოს თავისუფლებასა და კეთილდღეობას. მეორე ის, რომ ამ პიესაში ისტორიული ობიექტივობით არის მოცემული ჩვენი ხალხის წარსული, მისი ტრფიალი თავისუფლებისათვის და თავდადებული ბრძოლა უცხო მტარვალების წინააღმდეგ. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ეს საუკეთესო და ზუსტი ილუსტრაცია იქნება ისტორიის გაკვეთილებისათვის, რომლებსაც ისინი სკოლაში ისმენენ. შემდეგ, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება ამ პიესაში. ავტორმა, ყოველი სოციალური შეკვეთის გარეშე, თავისი შემოქმედებითი ინტუიციით, მოგვცა უაღრესად სწორი დახასიათება იმდროინდელი სოციალური ფენებისა. მაშინ, როდესაც მეფის გვარეულობის წევრებსა და თავადაზნაურობის წარმომადგენლებს ახასიათებთ სულმოკლეობა, ნებისყოფის სისუსტე და ერთნაირი მორალური მერყეობა (ერეკლე, ოთარბეგი), უბრალო ხალხის, გლეხობის წარმომადგენლებს ახასიათებთ პირდაპირობა, მტრისადმი შეურიგებლობა, ხასიათის სიმტკიცე, გამჭრიახობა და უანგარო სიყვარული სამშობლოსადმი (ისახარ, ბესო, ანანია-გლახა და დათო). დაბალი ფენების ეს წარმომადგენლები პიესაში გვევლინებიან უფრო უკეთესი მხრიდან, ვიდრე თუნდაც პიესის მთავარი პერსონაჟები, მაღალი წოდების წარმომადგენლები, როგორც, მაგალითად, ზეინაბი. თუ ზეინაბი, მართალია, საშინელი და დამამცირებელი კომპრომისის (სამშობლოს „გარეგანი“ და დროებითი ღალატის) საშუალებით ინახავს „შინაგან“ და მუდმივ ღალატს მტრისადმი, არცერთი დაბალი ფენის წარმომადგენლისათვის ამ პიესაში არ არსებობს ამ თუნდაც „პირობითი ღალატის“ აუცილებლობა, რადგან ისინი იზიარებენ მხოლოდ ერთ პრინციპს, ერთ მცნებას მტრების მიმართ — ბრძოლას გამარჯვებამდის. აქ პიესა განსაკუთრებით უახლოვდება საბჭოთა პატრიოტების სულისკვეთებას და ამიტომაც გამოიწვევს ჩვენში თანამგრძნობ ამოძახილს.

პიესის ყველა ეს ღირსება მოითხოვს მის აღდგენას ჩვენი თეატრების რეპერტუარში. შეგვიძლია დავასახელოთ სხვა პიესებიც, რომელთა აღდგენა საბჭოთა თეატრების რეპერტუარში მიზანშეწონილია. ასეთებია: აკ. წერეთლის რომანტიული გმირობით გაჟღენთილი პიესები „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“, ალ. ყაზბეგის სოციალურ თემატიკაზე აგებული „არსენა“ და სხვ. იმედია, საქ. ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებული სარეპერტუარო კომიტეტი შეისწავლის ამ საკითხს და გამონახავს საშუალებებს და ფორმებს, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი გახდება პიესების აღდგენა ჩვენი თეატრების რეპერტუარში.

ქ. თოფურიძე.

---

*) წერილი იბეჭდება მსჯელობის წესით.

საქართველოს კულტურის სახლის პროექტი

2 აგვისტოს, ქართველი საბჭოთა მწერლების ერთი ჯგუფი თავის ატელიეში მიიწვია არქიტექტორმა ივანე ფიოლიამ.

ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორი **ივანე ფიოლია** არის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აგებული და ასაგები რამდენიმე დიდი შენობის პროექტების ავტორი. მას ეკუთვნის აგრეთვე თბილისის ცირკის შენობის ერთ-ერთი პროექტი, რომელიც თავისი ორიგინალობით განირჩეოდა სხვა პროექტებისაგან. გასულ წლამდე ამხ. ფიოლია მუშაობდა მოსკოვში, იგი მონაწილეობას იღებდა იმ ბრიგადის მუშაობაში, რომელმაც აკადემიკოსების შჩუკოს, იოფანის და გელფრეიხის ხელმძღვანელობით დააპროექტა ჩვენი ეპოქის უდიდესი შენობა — მოსკოვის საბჭოების სასახლე.

მწერალთა ჯგუფს ამხ. ფიოლიამ აჩვენა და გააცნო საქართველოს კულტურის სასახლის თავისი ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც შენობის საერთო მოცულობა ერთ მილიონ კუბომეტრს მიაღწევს, ხოლო სიმაღლე—სამას მეტრს. სასახლე საძირკველიდან სიმაღლემდე წარმოადგენს სხვადასხვა ფორმის ხუთგვერდოვან ვარსკვლავს ხუთი იარუსით და ხუთი პილონით. შენობა, რომლის მასალადაც გათვალისწინებულია რკინა და ბეტონი, გაფორმებული იქნება ბუნებრივი და ხელოვნური მარმარილოთი.

სასახლე უმთავრესად დანიშნულია პარტიული და საბჭოთა ყრილობებისა, უნივერსალური სათეატრო და საოპერო დადგმებისა, ხელოვნების ოლიმპიადებისა და გრანდიოზული ფიზკულტურული გამოსვლებისათვის. შენობის მთავარ დარბაზს, რომელიც [illegible] ათას კაცს დაიტევს, ექნება სრულიად ახალი კონსტრუქციის [illegible] მოძრავი სცენა 13 მეტრის ვერტიკალური სიმაღლით და 25 მეტრის დიამეტრით. ოთხი ათასი კაცის დამტევი მეორე დარბაზი (სასცენო ესტრადით) დანიშნულია მცირე ყრილობებისა და საესტრადო გამოსვლებისათვის. დიდ დარბაზს ზევით იწყება სართულები, სადაც მოთავსდება სხვადასხვა მუზეუმი: რევოლუციური მოძრაობის, სოციალისტური მშენებლობის, ხელოვნების, მეცნიერების, მწერლობის და სხვა მუზეუმები.

სასახლის ტრანსპორტი ემყარება ტექნიკის უკანასკნელ მიღწევას. სამმარშიანი ესკალატორები, ლიფტები, ჩვეულებრივი და ორმაგი კიბეები მოქალაქეს საშუალებას მისცემს ორი-სამი წუთის განმავლობაში გაჩნდეს იქ, სადაც სურს.

სასახლის გარეგნულ გაფორმებას საფუძვლად უდევს საბჭოთა არქიტექტურის გამოცდილებისა და სოციალისტური რეალიზმის პრინციპების მიხედვით გადამუშავებული ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრება.

— ამ პროექტის დამუშავების დროს, — სთქვა ამხ. ფიოლიამ, — ჩემი მიზანი იყო, გამომეხატა სტალინური ეპოქის ძლევამოსილება და გრანდიოზულობა.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ახალგაზრდა არქიტექტორის ეს პროექტი მეტად სერიოზულ და ნაყოფიერ ცდას წარმოადგენს.

პროექტი მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

კალე ბობოხიძის ლექსები რუსულად

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობა, კომკავშირის ოცი წლისთავისთვის სცემს კალე ბობოხიძის ლექსების წიგნს რუსულად. ლექსებს თარგმნიან ბ. ბრიკი, სერებრიაკოვი, ჩაჩიკოვი და კრეიტანი. წიგნი გამოდის ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქციით.

ესპანეთის ფრთები

საკავშირო კომკავშირის ც. კ-ის გამომცემლობამ გამოსცა რუს და უცხოელ მწერალთა ნარკვევები და მოთხრობები ესპანეთის რესპუბლიკის ავიაციის მფრინავებზე. წიგნი იხსნება გენერალ მიახას მოსაზრებებით ავიაციის შესახებ. შემდეგ დაბეჭდილია მიხ. კოლცოვის სამი ნარკვევი, ილია ერენბურგის ორი ნარკვევი, ანდრო მარლოს, სტივენ სპენდერის, მარია-ტერესა ლეონის, ანდორა გობორას, ნ. შპანოვას და ივ. რახილოს ნარკვევები.

აღნიშნულ წიგნში მოთავსებული მოთხრობები და ნარკვევები, უმთავრესად დაბეჭდილი იყო საბჭოთა ჟურნალ-გაზეთებში.

ესპანელი პოეტების კრებული სამოქალაქო ომზე

რუსეთის სახელმწიფო ლიტგამომცემლობამ გამოსცა ესპანელი პოეტების ლექსების წიგნი, მიძღვნილი სამოქალაქო ომისადმი. წიგნში მოთავსებულია პლია ბელტრანის, რაფაელ ალბერტის, მანუელ ალტოლიაგირეს და ცალკეული ბატალიონების მეომართა ლექსები.

წიგნს წამძღვარებული აქვს ჟან კასუს წინასიტყვაობა. წიგნი იხსნება ანტონიო მაჩადოს ლექსით — „საბჭოთა რუსეთი“.

იმპერიალისტური ომის თემა ქართულ პოეზიაში

ლევან ასათიანი

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა უდიდესი დაღი დააჩნია ყველა ხალხის ცხოვრების ვითარებას. მან თავისი გამოხმაურება ჰპოვა აგრეთვე ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ხალხმა ზეპირსიტყვაობის სახით მოგვცა მრავალმეტყველი მხატვრული შემოქმედება, სადაც აღიბეჭდა მშრომელი მასების უარყოფითი განწყობილება ომისადმი, მათი აღშფოთება და მწუხარება, გულის ტკივილი და მწარე განცდები, გამოწვეული როგორც ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტის სურათებით, ისე მისი საბედისწერო შედეგებით, რომლის სიმძიმე უწინარეს ყოვლისა თვით მშრომელებს დაატყდათ თავზე.

საინტერესოა, როგორი პოზიცია ეკავა ქართულ მწერლობას ჩვენი ხალხის ამ ისტორიული გამოცდის მომენტში. ომის დროინდელი ქართული პოეზიის მიმოხილვა ამ მხრივ მეტად საგულისხმო სურათს შლის მკითხველის წინაშე. როცა მსოფლიო იმპერიალისტური ომი დაიწყო, ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის ვეტერანები აკაკი და ვაჟა-ფშაველა. და ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ესენი გამოეხმაურნენ პირველად მათი დროის გრანდიოზულ სოციალურ კატაკლიზმებს და გარკვეულ მხატვრულ ნაწარმოებებში გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება მისადმი. როგორც ჩვენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესმა წარმომადგენლებმა, მათ უწინარეს ყოვლისა სწორედ ჩვენი ხალხის ეროვნული იდეალების თვალსაზრისით შეხედეს საკითხს და თავიანთი გარკვეული შეფასებაც მისცეს მას. აკაკიმ თავის უკანასკნელ პოემაში „ომი“ გამოხატა თავისი იმედები, რომ იმპერიალისტური ომის ცეცხლსა და ფერფლში, უდიდესი მსხვერპლის შედეგად, რომელსაც იღებდა მისი სამშობლო, იშვებოდა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლება და მომავალი ბედნიერი ცხოვრება. ვაჟა-ფშაველამ შესანიშნავი ლექსები უძღვნა ომის თემას, მათ შორის „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ და „ბუნების გლოვა“. ამ ლექსებში ვაჟა-ფშაველამ უდიდესი პოეტური ძალით ასახა ჯარისკაცის მაზარაში გამოწყობილი, მოწინავე პოზიციებზე მყოფი მშრომელი გლეხკაცის სულისკვეთება, მისი განუწყვეტელი ოცნება სახლზე, შორეულ ოჯახზე.

„როცა მისწყდება თოფის ხმა
და ზარბაზნების გრიალი,
გრძნობები დამიყუჩდება,
არ მესმის ბრძოლის ზრიალი,
ფიქრით შინა ვარ... საჩეჩლის
კბილების მესმის წკრიალი,
გიცქერ, მატყლსა სჩეჩ, ფარტენას
ცრემლი გისველებს ტიალი!..
ეს ხომ ჩემ საჩოხედ გინდა...
ნაკურთხი დედის ცრემლითა —
არ გაიჭრება მახვილით,
არ დაიწვება ცეცხლითა...
რა დიდი ღამე გასულა,
შენ კი ძილფხიზლობ კერაზე,
ეგ შენი გლოვა უფალმა,
ვსთხოვ, შეგიცვალოს მღერაზე.
მშვიდობით! დაჰკრეს საყვირსა,
კვლავ მეძახიან ბრძოლაზე:
საჩხუბრად, სისხლის საღვრელად,
თოფის, ზარბაზნის სროლაზე.
ნეტავ თუ არ გვატირებენ
ბოლოს ვაჟკაცურ შრომაზე!?
ნეტავ, თუ დაგვიფასდება
ქართველთა შვილებს ამაგი, —
არ იქცეს საყოვ-ყორნედა
ჩვენი ლამაზი ალაგი...“

„ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ წარმოადგენს უდიდეს შედევრს ქართულ პოეზიაში, დაწერილს მსოფლიო იმპერიალისტური ომის თემაზე, ომის წლებშივე. ეს ლექსი გამსჭვალულია ნამდვილი ადამიანური განცდით, უდიდესი ჰუმანიზმით, მხურვალე პატრიოტული გრძნობით. აქ ნატამალიც არა სჩანს იმ ზოოლოგიური შოვინიზმისა, რომელსაც ყოველი ჯურის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მწერლები ჰქადაგებდნენ იმ დროს, განსაკუთრებით რუსულ ლიტერატურაში, სადაც გაბატონებულ მიმართულებას წარმოადგენდა სიმბოლისტური სკოლის პოეზია. საგულისხმოა ის გარემოება, რომ იმ დროის ახალგაზრდა თაობა ქართველი პოეტებისა უმეტეს შემთხვევაში სიჩუმით შეხვდა მსოფლიო მნიშვნელობის ამბებს. ომის თემას, თითქოს განგებ, გვერდს უვლიდნენ რუსული სიმბოლიზმის გავლენაში მოქცეული ქართველი დეკადენტი პოეტები. არაფერი მოუციათ მნიშვნელოვანი აგრეთვე ეგრეთწოდებულ დემოკრატიულ პოეტებს. გამონაკლისს ახალგაზრდა მგოსნებში წარმოადგენდა ისევ **გალაქტიონ ტაბიძე**; მთელ რიგ მის ლექსებში მძლავრ მხატვრულ ფერადებში აისახა მსოფლიო ომის საშინელი სურათები, შებრძოლ ჯარისკაცთა სულისკვეთება, მათი ტანჯვა-წამება, ფარული ნატვრა და ფიქრები:

„არ ბრწყინვალებ, არ ენთები...
გათენდი თუ -გათენდები —
ღამევ, ბნელო! —
...ეს სიცივე არეს ჰყინავს,
ცხრა ღამეა, რაც არ მძინავს,
მთიდან მთაზე
თხრილში გვავსებს თოვლის მტვერი.
არც მოძმე სჩანს, არც სჩანს მტერი,
და ვართ ასე.
(„ტრანშეები“)

ამ ლექსებში, რომლებიც დაწერილია იმ დროს, როცა „თვალგადაუწვდენ ორმოებში სისხლის მდინარე და ტრანშეების მიდიოდა ლაბირინტები“, გამოიხატა ომის კოშმარებით დაღალულ-დაქანცული მშრომელი მილიონების ოცნება მყუდრო შრომაზე, მშობლიურ ჭერზე, ადამიანურ ცხოვრებაზე:

„მინდოდა წყაროს წყალი გემოთი
და მშობლიური სუნთქვა სიოთი,
მე მივდიოდი და ვეცემოდი,
ისევ ვდგებოდი და მივდიოდი.
როცა თოფების ატყდა ქუხილი
და ზარბაზნების გრგვინვა და ჭექა,
მე ერთად-ერთი მქონდა წუხილი:
თქვენი სოფლების ღვია და დეკა.
შორს ერთად-ერთი ენთო სანთელი
უძველესი ბაღის ტოტებით,
აქ კი გრიგალი, კორიანტელი
და ტყე მშფოთარე თავგამოდებით.
(„მე ერთი მქონდა წუხილი“)

ლექსში „ცეცხლი“ უფრო რეალისტური მანერით არის აღწერილი კოშმარული სურათი ნგრევისა, რომელიც მოუტანა კაცობრიობას იმპერიალისტების ბარბაროსულმა ომმა:

„...სამოცდაათიან სანტიმეტრიანით
მიანგრ-მოანგრიეს იგი ქალაქები,
ველი ქალაქს იქით, ომით დაირღვა-რა,
ერთი მეორეში წვიმით იცვლება,
განა სისასტიკით, რაც აქ დაიღვარა
სისხლის მორევები, გამოიზომება?
მხეცი თოფიანი დაჰკრის უვნებელი,
ქვეყნებს შევლებია ცეცხლის მეზოდენი,
დადგა ოკეანე დაუსრულებელი...
ეს ხომ ცრემლებია... მაგრამ ესოდენი!..“

ასეთი სურათებით აისახა მსოფლიო ომი გალ. ტაბიძის შემოქმედებაში.

მართალია, ომის წლებში ქართულმა პოეზიამ ვერ შესძლო სრული ხმით დაგმობა ბურჟუაზიის მიერ დაწყებული დანაშაულებრივი ძმათა სისხლისღვრისა, მაგრამ იმ რიცხვით მცირე პოეტურ ნიმუშებში, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, მაინც საკმაო სიძლიერით მოსჩანს ომის კოშმარული სახე, მშრომელთა ტანჯვა, მათი მუდმივი ნატვრა მშვიდობიან შრომისაკენ დაბრუნებისა. ქართულმა პოეზიამ ვერ შესძლო გამოეაშკარავებინა მხატვრულ სახეებში იმპერიალისტების ბოროტმოქმედება და ჭეშმარიტი მიზეზები და მოტივები მათ მიერ გაჩაღებული სისხლიანი ხანძრისა. მართალია, მან ვერ შესძლო აესახა მშრომელი მასების კლასობრივი შეგნების ზრდა და ტენდენცია იმპერიალისტური ომის გადაზრდისა სამოქალაქო ომების ქარტეხილად, მაგრამ ქართული პოეზიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ტრაგიულ წლებში იგი მაინც თავისუფალი იყო ველურ შოვინიზმისაგან, ცრუ, ყალბი „პატრიოტული“ თავბრუდახვევისაგან, რომელიც ასე ახასიათებდა რუსული ბურჟუაზიული დეკადენტურ-სიმბოლისტური პოეზიის წარმომადგენლებს (გუმილიოვი და სხვ.), რომლებიც, უმღეროდნენ და ქებას ასხამდნენ რა მეფის რუსეთის არმიის „ძლევამოსილ“ იარაღს, ადიდებდნენ რა ომის საშინელებას, აშკარად ემსახურებოდნენ მეფის რუსეთის კაპიტალისტური და რეაქციულ-ფეოდალური წრეების მილიტარისტულ ზრახვებს.

საზავო ხელშეკრულება, რომელიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს შორის დაიდო ვერსალში, ამავე დროს დასაწყისი გახდა ახალი მსოფლიო ომისათვის მზადებისა.

ფაშისტური ბარბაროსები უკანასკნელი წლების განმავლობაში ფაქტიურად აწარმოებენ ომს მსოფლიოს მთავარ მატერიკებზე.

სისხლიანი ფაშისტების მზადება უპირველეს ყოვლისა მიმართულია მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა აღთქმული ქვეყნის, სოციალიზმის ურყევი ციტადელის, ჩვენი დიადი **საბჭოთა კავშირის** წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ერთად-ერთს სახელმწიფოს მსოფლიოში, რომელიც მტკიცედ ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას.

მთელი საბჭოთა ხალხი მზად არის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რკინის კედელივით დახვდეს ფაშისტ-სახელმწიფოების შემოტევას. ამ ისტორიულ მომენტში საბჭოთა ლიტერატურა საუკეთესოდ გამოხატავს ჩვენი ხალხის, ჩვენი მრავალმილიონიანი მასების სულისკვეთებას და განწყობილებას.

საბჭოთა მწერლები და პოეტები, მთელ საბჭოთა მშობლიურ ხალხთან ერთად არასოდეს არ ივიწყებენ დიდი **სტალინის** სახელმძღვანელო დარიგებას: „საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შემთხვევითობას“ და ჩვენი გარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შევხვდეთ მოუმზადებელნი“.

ქართული საბჭოთა პოეზია გაჟღენთილია საბჭოთა სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობით, გულწრფელი პატრიოტული განცდით, იგი უმღერის თავის თავისუფალი და ბედნიერი ხალხის ცხოვრებას, მის ყოველდღიურ სოციალისტურ შრომას; ქართულ საბჭოთა პოეზიაში იხატება ჩვენი ხალხის უდიდესი მშობლიური სიყვარული თავისი ძლევამოსილი გმირული წითელი არმიისადმი, რომელიც ფხიზლად სდარაჯობს ქვეყნის საზღვრებს ფაშისტ-აგრესორთა ყოველგვარ შემოტევისაგან.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია სახალხო პოეტის, ორდენოსან **გალაქტიონ ტაბიძის** შემოქმედება, რომელმაც ლექსების რამდენიმე დიდი, მაღალპოეტური შთაგონებით აღსავსე ციკლი შექმნა საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური მშენებლობის, წითელი არმიისა და თავდაცვის თემაზე. ერთ ლექსში იგი ასე გამოხატავს ჩვენი ხალხის განწყობილებას დღევანდელ ისტორიულ მომენტში და წითელი არმიის წმინდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე:

„ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა,
ჩვენ არ გვინდა ომი,
მაგრამ კაპიტალისტებს
არ ასვენებს ტომი;
რადგან მტერი არ ისვენებს
ჩვენი სისხლის მდომი —
ყველა წითელარმიელი
იდგეს, როგორც ლომი“.

მეორე ლექსში გალ. ტაბიძე გამოსთქვამს ჩვენი წითელი არმიის სიმტკიცისა და სიძლიერის საიდუმლოს:

„ჩვენი ჯარი ძლიერია,
მაგრამ სხვა სიძლიერით, —
შეგნებული დისციპლინით,
შეგნებული იერით.
იცის, რომელ მხარეს იცავს,
იცავს სისხლით, ფარით,
მტკიცედ ესმის დავალება
მხარის შრომის მიერით!
ჩვენი ჯარი ძლიერია
და ბრძოლებში მაგარი,
რომ დაიცვას პროლეტარულ
შრომის ნაამაგარი!“

წითელი არმია იცავს „პროლეტარული შრომის ნაამაგარს“, სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენი ქვეყნის კულტურას და მატერიალურ დოვლათს. ამავე დროს იგი წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთს არმიას, რომელიც გაჟღენთილია ნამდვილი ინტერნაციონალიზმის სულით, იგი იბრძვის ხალხთა შორის სოლიდარობისა და ბედნიერი ცხოვრების დაცვისათვის. ეს ინტერნაციონალური სული ჩვენი წითელი არმიისა კარგად აქვს გამოხატული პოეტს **ალ. აბაშელს** ლექსში „ლაშქრული“:

„დროშით, სიტყვით და ხმალით
იმ აზრის ვართ მთესავი,
რომ საერთო გულისთქმა
ჟღერდეს სხვადასხვა ერში.
მოკვდეს ველი მგესლავი,
ჩვენ კი ვიდგეთ კლდესავით
ქვეყნის სადარაჯოზე:
ხმელზე, ზღვაზე, ჰაერში“...

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანობის პოლიტიკა და ამავე დროს მზადყოფნა გარეშე მტრების თავდასხმის საფრთხის წინაშე ასახულია ორდენოსან პოეტ **ალიო მაშაშვილის** მთელ რიგ ლექსებში:

ჩვენ ომი არ გვინდა ზღვასისხლის მდომელი,
ეს მუქთახორების ზნეა და ბუნება,
ომს მოაქვს ტყვიების ხმა დაუნდობელი,
სიმშილი, სიკვდილი და განადგურება!
. . . .
და, მტრები მტაცებლურ განზრახვით ომობდენ,
ჩვენ იმათ იერიშს გულდაგულ დავხვდებით,
მზადა ვართ, მზადა ვართ, დავიცვათ ბოლომდე
საბჭოთა კავშირის მიწა და ქარხნები!“
(„ომი-ომს“, 1927 წ.)

უდიდესი მზრუნველობით და გულისხმიერებით ადევნებენ თვალს 170 მილიონიანი საბჭოთა ხალხები თავიანთ მოსაზღვრეთა გმირულ თავდადებას და სიმტკიცეს. ეს მშობლიური სიყვარულის გრძნობა გამოხატულია პოეტის, უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **ილო მოსაშვილის** ლექსში: „მოსაზღვრის სიმღერა“:

„...შენ კი დგეხარ, საზღვარს უვლი,
ელი დილის მოსვლას,
საბჭოეთის დიდი გული
სიყვარულით გმოსავს.
იგლით ერთად ჩაკირული —
ცეცხლიანი ნაღმი;
გაქვს შაშხანა დაპირული,
გყავს ერთგული ძაღლი“...

ქართულმა საბჭოთა პოეზიამ მოგვცა ბევრი შედევრი, სადაც სამშობლოს გულწრფელ სიყვარულთან ერთად დახატულია ჩვენი ბედნიერი ხალხის გმირული თავდადება და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, უანგარო სიყვარული ჩვენი ეპოქის უგენიალურესი ადამიანის, მოამაგის, ბელადის და მასწავლებლისადმი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა და მიღწევათა შთამგონებელს და განმახორციელებელს. ეს დიადი გრძნობა სამშობლოსა და ბელადისადმი გამოხატულია, სხვათა შორის, პოეტ **სიმონ ჩიქოვანის** ლექსში „მშობლიურ ხალხს“.

„მტერს რას დაუთმობ, მტერი აჩეხე,
სადარაჯოზე გულნი დგებიან,
ეს ქარხნები ხომ შენ ააშენე,
ეს მოელვარე შენი მთებია.
...ბელადის თვალი, ყველგან მზირალი,
ბედნიერება, გულის ტაროსი,
ვით გაზაფხული, გარეთ მყვირალი,
და სიხალისე მჭროლავ წყაროსი, —
აი, სამშობლოვ, შენი სახელი...“

ქართველი საბჭოთა პოეტების შემოქმედებაში განსაკუთრებულის ძალით აისახა ყველა ის გრძნობა, რომელიც ამოძრავებს და აღფრთოვანებს ჩვენს მრავალმილიონიან ხალხს დღევანდელ ისტორიულ მომენტში: სამშობლოსათვის თავდადება, მშვიდობიანი სოციალისტური შრომის ენტუზიაზმი, შეურიგებელი სიძულვილი ხალხის მტრების—საერთაშორისო პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტების — ტროცკისტულ-ბუხარინული ქვემძრომების მიმართ, განუზომელი სიყვარული სამშობლოსათვის თავდადებული გმირული წითელ არმიისადმი, ერთგულება პარტიისა და მშრომელი კაცობრიობის გენიოსი ბელადის **ი. სტალინისადმი.** ამ მხურვალე გრძნობებით არის გამთბარი და შთაგონებული საუკეთესო ქართველი საბჭოთა პოეტების: ირ. აბაშიძის, კ. ბობოხიძის, ვ. გაბესკირიას, ვ. გაფრინდაშვილის, რ. გვეტაძის, ი. გრიშაშვილის, ალ. გომიაშვილის, ვ. გორგაძის, ს. ეულის, კ. კალაძის, გ. ლეონიძის, ვ. ჟურულის, ალ. ქუთათელის, ი. ლისაშვილის, გ. ქუჩიშვილის, ს. შანშიაშვილის, გრ. ცეცხლაძის და სხვათა ლექსები და პოემები.

საგაზეთო წერილის ფარგლები საშუალებას არ იძლევიან, უფრო ახლოს შევეხოთ მათი შემოქმედებით პროდუქციას ამ დიდი და საპატიო თემატიკის დარგში. ქართული საბჭოთა პოეზია, საბჭოთა კავშირის მოძმე ერების პოეზიასთან ერთად, თავისი ქვეყნის ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრების სადარაჯოზე სდგას. მაგრამ თუ დადგება გარდამწყვეტი მომენტი, როდესაც ფაშისტური ბანდები მოინდომებენ ჩვენი სამშობლოს წმინდა საზღვრების გადმოლახვას, საბჭოთა პოეტები ჩადგებიან ჩვენი ქვეყნის დამცველთა მოწინავე რიგებში, რომ უკვე სიტყვით და კალმით კი არა, — არამედ საქმით დაიცვან თავიანთი საყვარელი ქვეყანა და შესძლონ ამაყად გამეორება ვაჟა-ფშაველას დაუვიწყარი სიტყვებისა:

„სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,
ნამუსი დავიცავითა!“

ამ ისტორიულ ბრძოლაში საბჭოთა პოეტების, ისე როგორც მთელ საბჭოთა ხალხის გვერდით იდგომება მოწინავე კაცობრიობის საუკეთესო, პროგრესიული ნაწილი, ვინაიდან მტკიცედ გვჯერა თანამედროვე უდიდესი ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის წინასწარმეტყველური განცხადება: „ფაშიზმის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი აამხედრებენ მთელს მსოფლიოს მის წინააღმდეგ“.

პ/მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. ამსრულებელი
ალიო მაშაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 3—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 2037